# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 18 იანვარი 2005 №8 (2331) ფასი 50 თეთრი


# ლევან კობიაშვილი ბუნდესვარსკვლავია



ლევან კობიაშვილი ბუნდესლიგის ლეგიონერთა ნაკრებში ითამაშებს. გუშინ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა, მწვრთნელ ჰუუბ სტევენსის რეკომენდაციით, ბუნდესლიგაში მოთამაშე ის 22 ლეგიონერი დაასახელა, რომლებიც 25 იანვარს გერმანიის ნაკრებს შეხვდებიან. სტევენსის რჩეულთა შორის ქართველი ფეხბურთელიც არის. გეხსომებათ, გერმანიის ნაკრებისა და ბუნდესლიგელი ლეგიონერების მატჩი საქველმოქმედოა და მთელი შემოსავალი (სავარაუდოდ, 5 მილიონი ევრო) ცუნამით დაზარალებულ აზიის ქვეყნებს მოხმარდება. 25 ივნრის მატჩი გელზენკირხენის „აუფ შალკეზე" ჩატარდება. ლეგიონერთა მწვრთნელმა ჰუუბ სტევენსმა „შალკეს" ჩვენიანი ნახევარმცველი ისეთ ვარსკვლავთა შორის დაასახელა, ლუსიო, სალიჰამიჯიჩი, მაკაი, ზე რობერტო (ყველა ბაიერნი), როსიცკი (დორტმუნდი), მარსელინიო (ჰერტა), დალესანდრო (ვოლფსბურგი) და აილტონი (შალკე) რომ არიან.... ერთი სიტყვით, ამათზე ნაკლები ვარსკვლავი არც ლევან კობიაშვილია.

## კაცმა ქალსა, კაცო...

### საქართველოს თასი ოთხზე დგას

ერთი დღეც და რუსთავში დასრულდება საკალათბურთო თასის ტანჯული ჯგუფური ეტაპი. „დინამოს" უარის შემდეგ ეს შეჯიბრი ერთგვარ უაზრობადაც კი იქცა — ოთხივე შემორჩენილი მონაწილე მხოლოდ ფორმალურად ეთამაშება ერთმანეთს, გავარდნით არავინვარდება და რუსთავში ოთხივე მხოლდ იმისთვის ღვრის ოფლს, რომ ნახევარფინალში სასურველი მეტოქე შეხვდეს. ასეთად კი ენერგიისგან დაცლილი, მაგრამ ემოციებმოძალებული რუსთავის „თუჯი" ჩაითვლება. ჯგუფური ეტაპის მასპინძლებმა გუშინ მსაჯებთან, კონკრეტულად კი არბიტრ ქალთან მაკა კუპატაძესთან დიდი დავისა და ლამის მასზე გაწევის შემდეგ მეორე მატჩიც წააგეს და უნდათ თუ არა, ნახევარფინალში შედარებით ძლიერი მეტოქე ერგებათ. მათი მეტოქე ორ ტურში ორ-ორი მოგების მომხვეჭ თსუ-სა და „თბილავიამშენს" შორის უნდა ვეძებოთ. ესენი ერთმანეთს დღეს ბოლო, მესამე ტურში ხვდებიან და ეტაპის გამარჯვებულსაც გამოავლენენ.



# ისევ სახლი და 25

*კვირის ბოლოს ბუნდესლიგაში სეზონი განახლდება. არგავარდნისთვის მებრძოლ „ფრაიბურგს“ კიდევ ერთი ქართველი, ოთარ ხიზანეიშვილი შეემატა და ვინძლო, ფოლკერ ფინკეს გუნდს მნიშვნელოვნად შეეწიოს ბუნდესლიგაში დარჩენაში.*

*გუშინ კი „ფრაიბურგი“ პორტუგალიიდან შინ დაბრუნდა და გუნდის შემტევ ალექსანდრე იაშვილსაც გერმანიაში დავუკავშირდით*



— პორტუგალიაში, ქალაქ ალგარვეში ვიყავით შეკრებაზე, ისეთ სასტუმროში ვცხოვრობდით, რომელსაც სათამაშო მოედნებიც აქვს. ერთი სიტყვით, სეზონის მეორე ეტაპისთვის კარგად მოვემზადეთ. ხიზანეიშვილის გარდა დავიმატეთ ავსტრიელი მცველი იბერცბერგერი და ჰოლანდიელი თავდამსხმელი კუჯუ.

— **პორტუგალიური შეკრება და სამი ახალი ფეხბურთელი — ბუნდესლიგაში დასარჩენად ეს საკმარისი იქნება?**

— ახლა ამის თქმა ძნელია, ყველაფერი სეზონის განახლების შემდეგ გამოჩნდება. პირველ წრეში 7 ქულა იმ გუნდებთან ავიღეთ, რომლებიც ახლა ზედა ოთხეულში არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ „ფრაიბურგს“ შედეგიანი თამაში შეუძლია.

— **პირველი წრე ბოლო ადგილზე რომ ჩაამთავრეთ, ამას რას დააბრალებდი?**

— მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ერთნაირი შემადგენლობით ორი მატჩიც ვერ გადავაბით. ტრავმების გამო ვარჯიშებზე ხანდახან 13-14 ფეხბურთელის ამარა ვიყავით, „ფრაიბურგი“ კი „ბაიერნი“ არ არის, ასეთი დანაკარგები უპრობლემოდ შეავსოს. ამას დაემატა უიღბლობაც, ყველაფერი ეს ერთად კი ბოლო ადგილზე ჩამოქვეითებისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

— **მეორე წრის პირველ მატჩში არგავარდნისთვის ბრძოლაში თქვენს უშუალო კონკურენტ როსტოკის „ჰანზას“ ეთამაშებით. ზოგს მიაჩნია, რომ რახან „ჰანზა“ აღმოსავლეთ გერმანიის, ყოფილი გდრ-ის გუნდია, ამიტომ ბუნდესლიგაში პატარ-პატარა შეღავათებით სარგებლობს...**

— „ჰანზას“ არანაირი შეღავათები არ აქვს. წინა სეზონში მე-9 ადგილზე გავიდა ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე. ჩვენთვის ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ დავიწყებთ მეორე წრეს — თუ როსტოკში სამ ქულას ავიღებთ, ეს ფსიქოლოგიურად ძალიან წაგვადგება.

— **„ფრაიბურგს“ გათვლები კალენდარზეც აქვს გაკეთებული?**

— ბოლო ოთხი ტურიდან სამი მატჩი შინ გვაქვს და იმ დროისთვის ბუნდესლიგაში დარჩენის შანსი შერჩენილი უნდა გვქონდეს.

— **როგორც ყოველთვის, აქცენტს საშინაო მატჩებზე აკეთებთ, თუმცა პირველ წრეში ვერც სახლში ყოჩაღობდით...**

— წინა ბუნდესლიგაში საშინაო მატჩების შედეგების მხრივ საუკეთესო ოთხეულში ვიყავით, მიმდინარე ბუნდესლიგის პირველ წრეში კი შინ მხოლოდ 7 ქულა ავიღეთ. დიდი იმედი გვაქვს, რომ სახლში თამაშს მკვეთრად გამოვასწორებთ.

— **შენი ვარაუდით, რამდენი ქულა იქნება საკმარისი ბუნდესლიგაში დასარჩენად?**

— მეორე წრეში მინიმუმ 25 ქულა მაინც უნდა ავიღოთ — 36 ქულით ალბათ დავრჩებით პირველ ბუნდესლიგაში — ეს შეუძლებელი სულაც არ არის.

— **ოთარ ხიზანეიშვილი როგორ შეეწყო „ფრაიბურგს“?**

— ძალიან კარგად, წესით და რიგით, ის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე უნდა იყოს. პორტუგალიური შეკრების ბოლო ორი დღე მას გრიპის გამო არ უვარჯიშია, მაგრამ ახლა მომჯობინდა და ვარჯიშსაც განაახლებს.

**დავით თავართქილაძე**



## გიორგი ქინქლაძე:
# ნაკრებს კიდევ გამოვადგები

*საქართველო — ლიტვის 9 თებერვლის ამხანაგურ მატჩში ჩვენს ეროვნულ გუნდს შესაძლოა კვიპროსული „ანართოსისის“ გამთამაშებელი გიორგი ქინქლაძე დაუბრუნდეს. ნაკრების თავკაც ალენ ჟირესს საამატჩო შემადგენლობა ჯერ არ გამოუცხადებია, თუმც ითქვა, მწვრთნელი ქინქლაძის გამოძახებას აპირებსო.*

*იქამდე კი კვიპროსზე ჩემპიონატი განახლდა. „ანართოსისი“ „არისს“ ესტუმრა და 4:1 მოიგო. ქინქლაძეს არ უთამაშია, როგორც გუშინ თავად გვითხრა, ტრავმის გამო*

— ვარჯიშზე კოჭი გადავიბრუნე და „არისთან“ ველარ ვითამაშე. ორი დღე ვისვენებდი, ვმკურნალობდი და ახლა უკვე კარგად ვარ. ხვალ მთელი დატვირთვით ვივარჯიშებ და მომავალ ტურში აუცილებლად ვითამაშებ.

— **მით უმეტეს ახლაა აუცილებელი შენთვის სათამაშო პრაქტიკა. ამბობენ, ქინქლაძეს ნაკრებში გამოუძახებენო.**

— ეგ ამბავი ზუსტად არ ვიცი, არავინ დამკავშირებია და უთქვამს, ნაკრების თამაშზე უნდა ჩამოხვიდეო.

— **ტყუილია?**

— არა, ზუსტად არ ვიცი, ალენ ჟირესი რას აპირებს, თორემ ლიტვასთან მატჩისთვის ნაკრების კანდიდატთა შორის რომ ვარ, ეს ამბავი თემურ ქეცბაიამ მითხრა.

— **და თუ ჩამოხვედი, როგორ ფიქრობ, ოპტიმალურ ფორმაში იქნები?**

— საუკეთესო ფორმის აღდგენა ჯერ კიდევ ვერ მოვახერხე, მაგრამ ვგრძნობ, რომ ნელ-ნელა ვუმატებ. ლიტვასთან მატჩამდე კი კიდევ მოვუმატებ.

— **„ანართოსისში“ როდემდე უნდა დარჩე?**

— კონტრაქტის ბოლომდე, ანუ ზაფხულამდე. იქამდე კი, ალბათ, ფორმას ბოლომდე აღვიდგენ და უკეთეს გუნდში გადავალ. ვნახოთ, კვიპროსიდან წასვლაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.

— **ჯერ ნაკრებია...**

— მგონი, ნაკრებს კიდევ გამოვადგები. ყოველ შემთხვევაში, ძალიან მსურს, ასე იყოს.

**ძოგა ინასარიძე**

### ინგლისი
ასოციაციის თასი
1/32 ფინალი. გადათამაშება
სუონსი 0:1 დ.დ.(0:0) რედინგი

### შოტლანდია
ასოციაციის თასი
1/16 ფინალი. გადათამაშება
გრეტნა 3:4 დანდი იუნ.

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XXI ტური
ამიენი 0:2 გრენობლი

### საბერძნეთი
ეროვნული ლიგა. XV ტური
ძსანთი 2:0 იონიკოსი

### პორტუგალია
სუპერლიგა. XVII ტური
სეტუბალი 1:2 ბელენენსეში

### მექსიკა
კლაუსურა. I ტური
ტეკოსი 1:0 პუმასი

### იტალია
სერია B. XXI ტური
პიაჩენცა 1:0 ვერონა

სერია C1/B. XIX ტური
სამბენედეტეზე 1:1 ფოჯა

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

*თუ გახსოვთ, შესარჩევი ციკლის კალენდრის თავდაპირველი ვარიანტის მიხედვით, საქართველოს ნაკრებს 9 თებერვალს ყაზახეთში უნდა ეთამაშა, თუმცა კლიმატური პირობების გათვალისწინების გამო ეს მატჩი მაშინვე აგვისტოში გადაიტანეს. ამ დღეს კი ჩვენები ლიტვას უმასპინძლებენ ამხანაგურ შეხვედრაში და არც ყაზახები მსხდარან უსაქმოდ...*

# ახალ ყაზახეთს ზიკო გამოცდის

ყაზახეთი

29 იანვარს სერგეი ტიმოფეევის გუნდი იოკოჰამას 72-ათასიან სტადიონზე ზიკოს გაწვრთნილ იაპონიას ამხანაგურს ეთამაშება. ყაზახეთი ის გუნდია, მიმდინარე შესარჩევის ოთხივე თამაში რომ წააგო და, ბუნებრივია, ყველა მეტოქე, საქართველოს ჩათვლით, მას ქულების გამცემ მანქანად მიიჩნევს.

იაპონიასთან მატჩისთვის ტიმოფეევმა სიურპრიზი მოამზადა და ექვსი ისეთი ახალწვეული გამოიძახა, რომელთა ასაკი 20 წელს არ აღემატება: მცველი უტაბაევი, ნახევარმცველები — ალიევი, ლარინი, baiжანოვი და ძმები აზოვსკები. მათგან ლეგიონერი ერთიც არაა.

„რაც უნდა მაკრიტიკონ და სატურნირო ცხრილი გამახსენონ, მე მაინც ახალგაზრდებზე გავაკეთებ აქცენტს. მხოლოდ ლევანდელობით არ უნდა ვიცხოვროთ, მიმდინარე შესარჩევში ეს ბიჭები კლასს აიმაღლებენ და საგაისო ციკლში გამოგვადგებიან. აი, მერე კი აუტსაიდერები აღარ ვიქნებით“ — თქვა ტიმოფეევმა, რომელიც იაპონიასთან გაჯიბრებას დიდ სკოლად მიიჩნევს. აქვე გეტყვით, რომ ყაზახები უახლოეს შესარჩევ მატჩს დანიასთან გამართავენ სტუმრად.

ყაზახეთის საიაპონიო შემადგენლობა კი ასეთია:

*მოკინი („ენისეი“), ჩიჩულინი („ირტიში“); ავდეევი, ყალმყამბეტოვი (ორივე „ენისეი“), ფამილცევი, კამელოვი (ორივე „ირტიში“), სმაკოვი, უტაბაევი, კარპოვიჩი, ალიევი, ბულეშოვი (ყველა „ქაირათი“), სოლომენკო („შახტიორი“), დუბინსკი („შინიკი“ რუსეთი), ლიაპკინი („ხიმკი“ რუსეთი), ე. აზოვსკი, ლარინი, ბაიჟანოვი (ყველა „ალმათი“), მ. აზოვსკი („თარაზი“), როდიონოვი („ატირაუ“).*

**ილია ნანობაშვილი**

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# ჰასებია კობის ჰობი

**ბუნდესლიგა** 22 იანვარს განახლდება და ტურის მთავარ მატჩში გელზენკირხენის „შალკე" გერმანიის მოქმედ ჩემპიონ „ვერდერს" უმასპინძლებს. იქამდე კი ლევან კობიაშვილის გუნდი ტესტ-მატჩებს ვერ ელევა: „შალკემ" შაბათს 0:1 წააგო თურქულ „გალათასარაისთან", თუმც ამ მარცხს გუშინ ამავე ანგარიშით მოგება შეუნაცვლა და ხასიათი გამოიკეთა.

„ხუმარები" მეორე ბუნდესლიგის მაჩანჩალა „ობერჰაუზენს" ესტუმრნენ და სერბი მცველის მლადენ კრსტაიჩის მიერ 37-ე წუთზე გატანილი გოლით გაიმარჯვეს. კობიაშვილმა მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა და „შალკეს" ვებ-გვერდზე ჩვენებური მხოლოდ ერთხელაა მოხსენიებული — ლევანმა მარცხენა ფლანგზე გაილაღა, ცენტრისკენ წამოსულმა ორი მეტოქე ჩამოიცილა და გასატანად დაუგდო ბურთი ჰესეს, თუმც ვესტფალიელთა ჭაბუკმა ფორვარდმა 7-8 მეტრიდან კარს გადააცილა. შესვენების შემდეგ კი „კობი" დანიელმა კრისტიან პოულსენმა შეცვალა.

კრსტაიჩს რაც შეეხება, მან „გალათასარაისთან" გრიპის გამო ვერ ითამაშა, გუშინ კი „ობერჰაუზენს" 20 მეტრიდან გაუტანა აუღებელი საჯარიმო დარტყმით. „ხუმარებს" დიდი უპირატესობა ჰქონდათ, თუმც ჰანკემ, დელურამ, ალტინტოპმა და უკვე ნახსენებმა ჰესემ იდეალური შანსები გაანიავეს. „შალკეს" თავკაცმა რალფ რანგნიკმა „გალათასარაისთან" თამაშის შემდეგ ასამოა, პანდერი და აილტონი დაასვენა.

რანგნიკმა 4-3-3 სქემით ათამაშა გუნდი. პირველ ტაიმში კობიაშვილს ნახევარდაცვაში ვერმანტი და ბაუმიოჰანი უწევდნენ პარტნიორობას.

„უფრო დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო. მომენტები ვერ გამოვიყენეთ და ამის გამო „ობერჰაუზენმა" ბოლო წუთებზე კინაღამ დაგვსაჯა. შეამჩნევდით, დღეს ოპტიმალური შემადგენლობით არ გვითამაშია. ლამოტს, ბაუმიოჰანსა და ჰუგლანდს 90 წუთი მიეცათ დრო და ურიგოდ არ გარჯილან" — თქვა ნამატჩევს რანგნიკმა.

„შალკეს" შემადგენლობა ასეთი იყო: *როსტი (ჰაიმეროტი 46), უდე კამპუისი (ალტინტოპი 46), კრსტაიჩი (ვალდოხი 61), ჰუგლანდი, ლამოტი, ვერმანტი (როდრიგესი 61),* ***კობიაშვილი*** *(პოულსენი 46), ბაუმიოჰანი, დელურა, სანდი (ჰანკე 46), ჰესე.*

**ილია ნანოზაშვილი**



# ბოლო წამის კვიპროსული ისტორიები

## ევროპელი ქართველები კუნძულზე შეიყუჟნენ

უცნაურია, მაგრამ ევროპაში მობურთალი ქართველების საქმეთა მიმოხილვას კვიპროსის ჩემპიონატით ვიწყებთ და... ვამთავრებთ.

სხვა გზა არც არის — იტალიაში და შოტლანდიაში ჩვენებურები არ გამოჩენილან: მილანელი *კახა კალაძე* და რეინჯერსელი *შოთა არველაძე* ტრავმირებული არიან, ასევე გლაზგოელი ***ზურაბ ხიზანიშვილი*** კი მწვრთნელმა სათადარიგოდ დატოვა. არ უთამაშია „ბერძენ" *ირაკლი ვაშაკიძესაც*, რომელიც კარგა ხანია, „არისის" შემადგენლობიდან გაქრა.

მოკლედ, კვიპროსი შეგვრჩა ხელთ და ჩვენც ამ კუნძულის ჩემპიონატზე ვთქვათ. მით უმეტეს, სამივე „ქართულმა" გუნდმა მოიგო, სამივემ დამატებულ წუთებზე გაიტანა გოლი და ერთადერთი, ვისაც არ უთამაშია, *გიორგი ქინქლაძეა.*

უქინქლაძეო „ანართოსისმა" 4:1 მოუგო „არისს" და ამაში *თემურ ქეცბაიამ* დიდი წილი დაიდო — ფამაგუსტელთა მოთამაშე-მწვრთნელმა ერთი გოლი გაიტანა და მატჩის ბოლოს საგოლე პასიც გააკეთა. მანამდე კი, 30-ე წუთზე, ანართოსისელებმა *კლიმენტი ნიტაიშვილის* წაქცევისთვის დანიშნული პენალტიც გამოიყენეს.

საინტერესოა ისიც, რომ ოთხთვიანი შესვენების შემდეგ მოედანს დაუბრუნდა *გიორგი გაბიდაური*, რომელიც „ანართოსისის" შემადგენლობაში 62-ე წუთზე გამოჩნდა. გიორგი აქამდე ტრავმირებული იყო.

ურთულეს ჯახში იმარჯვა „პარალიმნიმ". *გიორგი ანჩაბაძის* წამოსვლის მერე ამ გუნდში ერთადერთი ქართველი *ლევან ქებაძეა* და ისიც 90 წუთის განმავლობაში ეძებდა „აშნას" კარის გასაღებს. ჩვენებურს არ გაუმართლა და თითქოს „პარალიმნიც" უნდა დამარცხებულიყო, მაგრამ... 91-ე და 92-ე წუთებზე სასწაული მოხდა — „პარალიმნიმ" 3:2 მოიგო და სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილამდე აიწია.

მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე იყოჩაღა გიორგი ქორიძის „ოლიმპიაკოსმაც". ჩვენებური 79-ე წუთზე ჩაერთო თამაშში და „ოლიმპიაკოსის" გადამწყვეტ შტურმშიც აქტიურად მონაწილეობდა. საბოლოოდ, ქორიძის გუნდმა 2:1 დაამარცხა „აპოლონი".

**ძახა ზალამბერიძე**



ლევან ქებაძის (№17) „პარალიმნიმ" წამებში მოიგო

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | უდინეზე 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 9 | 1 | 2 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | დანფერმლაინი 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 16 | 4 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | დანფერმლაინი 3:0 | 0 | სათადარიგო | 14 | 0 | 2 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ვაშაკიძე | არისი | შ | კალითეა 2:2 | 0 | | 3 | 0 | 13 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | იონიკოსი 2:0 | 90 | | 13 | 0 | 4 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | არისი 4:1 | 90 | 1 გოლი, საგოლე პასი | 13 | 5 | 2 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | ს | არისი 4:1 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 2 | 2 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | ს | არისი 4:1 | 90 | | 14 | 4 | 2 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | არისი 4:1 | 28 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | ანართოსისი | ს | არისი 4:1 | 6 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 2 | 2 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | აშნა 3:2 | 90 | | 14 | 4 | 8 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | შ | აპოლონი 2:1 | 11 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 1 | 5 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

*რუსეთის პირველდივიზიონელი „ხიმკი" ზევე თურქულ შეკრებას დაასრულებს და ერთ კვირაში ისევ იქ დაბრუნდება. მანამდე კი პაველ იაკოვენკოს ბიჭები ტესტ-მატჩებს მართავენ და საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაიასაც ოფლისღვრა არ აკლია. ხიმკელებმა გუშინ ორი შემადგენლობით გამართეს შეხვედრები — ერთმა ხარკოვის „არსენალს" 2:0 მოუგო, მეორემ კი არგენტინულ „არგენტინოს ხუნიორსს" 3:2 სძლია. რაც შეეხება გიორგის შესაძლო კლუბის შეცვლას, ამაზე ახალი არაფერია*

# გიორგი ლომაიამ არგენტინელებს მოუგო

## იქნებ დარჩენა ღირდეს...

— მე „არგენტინოს ხუნიორსის" წინააღმდეგ ვითამაშე სრულად. 3:0 ვიგებდით და მხოლოდ ბოლო წუთებზე მოვეშვით. შემდეგი მატჩი მარიუპოლის „მეტალურგთან" გვექნება. ძალიან კარგ პირობებში ვემზადებით, დიდი დატვირთვებიც გვაქვს და წესით, ჩემპიონატს ნორმალურ ფორმაში უნდა შევხვდეთ. თანაც წინ კიდევ სამი შეკრებაა.

**— როგორც ჩანს, კვლავ არც ერთი გუნდი არ შეგხმიანებია...**

— ასეა. შეთავაზება თუ იქნებოდა, „ხიმკის" ხელმძღვანელობა არ დამიმალავდა. ფაქტია, ჯერ სიახლე არაფერია. კლუბის პრეზიდენტ ჩერვიჩენკოს რომელიმე ფეხბურთელის წასვლაზე არაფერი უთქვამს, პირიქით, აქეთ მოჰყავთ ახალ-ახალი მოთამაშეები. ისე, დღეს „ხიმკიში" ძალიან ბევრი ფეხბურთელი ვარჯიშობს და, რა თქმა უნდა, ყველა მათგანი გუნდში არ დარჩება.

**— „ხიმკი" კარგ გუნდად ყალიბდება და ხომ არ გირჩევნია, მანდ დარჩე?**

— რა გითხრა... პრემიერლიგის გუნდის ვარიანტი თუ მექნება, მაშინ წასვლას ვამჯობინებ. ისე, არც აქ დარჩენაა ცუდი — ამ ერთ სეზონს როგორმე პირველ დივიზიონში გავძლებდი და გაისად, იმედია, პრემიერლიგაში ვითამაშებდი. „ხიმკის" სერიოზული გეგმები აქვს და ისეთი შემადგენლობა ჰყავს, რომ პირველ დივიზიონში ნაღდად ფავორიტი იქნება.

**— პაველ იაკოვენკო რას გეუბნება, კმაყოფილია შენით?**

— არ ვიცი. იაკოვენკოზე მეტად მეკარეთა მწვრთნელ კრაკოვსკისთან გვაქვს ურთიერთობა, მისგან კი უკმაყოფილება არ მიგრძვნია. ჩემ გარდა „ხიმკიში" ხუთი მეკარეა და ყველას უნდა ვაჯობო.



**— რა დონის მეკარეები არიან?**

— სამი ახალგაზრდაა, თითქმის ბავშვები. აი, „ხიმკის" ძველი მეკარეები რაშკოვი და სიდელნიკოვი კი გამოცდილები არიან და უფრო მათთან მომიწევს კონკურენცია.

**ილია ნანოზაშვილი**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს რომან შოთაძეს ბიძის

**მიხეილ აროშიძის**

გარდაცვალების გამო



# ტოტალიზატორებმა ფსონი დოკუმენტზე დადეს

**როგორც მოგეხსენებათ,** 2005 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის მიხედვითაც ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი სფეროს — სათამაშო ბიზნესის წარმოება.

ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, სათამაშო ბიზნესი ჩართულია დღგ-ის გადამხდელთა სიაში, ვინაიდან კოდექსის არცერთი ნორმა არ ითვალისწინებს სათამაშო ბიზნესის დღგ-გან გათავისუფლებას. 225-ე მუხლის თანახმად, დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია, 227-ე მუხლის თანახმად, დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით, მე-12 მუხლის თანახმად, კომპენსაცია არის გაწეული მომსახურებისთვის მიღებული სარგებელი, მე-18 მუხლით განსაზღვრულია მომსახურების ცალკეული კატეგორიები, რომლებშიც არ შედის სათამაშო ბიზნესი, მაგრამ ამავე მუხლის „ნ" ქვეპუნქტად ჩაწერილია „სხვა მომსახურება", ეს კი, დაგვეთანხმებით, ფართო მცნებაა. თუ კანონმდებელმა ჩათვალა, რომ სათამაშო ბიზნესის დღგ-გან გათავისუფლების შესახებ სპეციალური ნორმის მითითება არ არის საჭირო, ვინაიდან იგი არ განეკუთვნება მომსახურების არცერთ სფეროს, მაშინ საჭიროა გამოიცეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც დააკონკრეტებს ბუნდოვანი საკანონმდებლო ნორმის შინაარსს. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში საგადასახადო სისტემა არ ითვალისწინებს სათამაშო ბიზნესის დაბეგვრას დამატებითი ღირებულების გადასახადით. გარდა ამისა, დამატებითი ღირებულების გადასახადი თავისი შინაარსით არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც უპირობოდ დგინდება მიწოდებული საქონლის ანდა გაწეული მომსახურების ფასზე ნამატის სახით და, აქედან გამომდინარე, ვინაიდან ტოტალიზატორში არ ხდება არანაირი საქონლის წარმოება ან მიწოდება და მისი საქმიანობა არ განეკუთვნება კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების არცერთ სფეროს, არ შეიძლება, თავისი შინაარსით ეხებოდეს სათამაშო ბიზნესს.

კოდექსით გათვალისწინებულია აგრეთვე მოგებული თანხის დაბეგვრა საშემოსავლო გადასახადის 12%-იანი განაკვეთით. კოდექსის 218-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად: პირი, რომელიც დაკავებულია სათამაშო ბიზნესით და ფიზიკურ პირს უხდის მოგებებს, ვალდებულია, გადახდის წყაროსთან დაუკავოს საშემოსავლო გადასახადი. 166-ე მუხლის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვის თანხებს შორის. 178-ე მუხლის „გ" პუნქტის თანახმად, ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება ფიზიკური პირის მიერ აზარტული ან სხვა მომგებიანი თამაშობებიდან მიღებულ მოგებებთან დაკავშირებული ხარჯები. კოდექსის 218-ე და 178-ე მუხლები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ვინაიდან პირველი ავალდებულებს მოგებიდან, ხოლო მეორე მთლიანად მოგებული და პლუს დადებული თანხიდან საშემოსავლოს დაკავებას. ხშირ შემთხვევაში მოთამაშის მოგება დადებული თანხის 12%-ზე ნაკლებია და თუ იგი დაიბეგრება 178-ე მუხლის შესაბამისად, მოგების დროსაც კი ფაქტობრივად წაგებული აღმოჩნდება. ამასთანავე, 218-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, პირი, რომელიც ახდენს გადასახადის წყაროსთან გადასახადის დაკავებას, ვალდებულია, ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირებისათვის თანხის „გადახდისთანავე". აღნიშნული მოთხოვნა ფიზიკურად შეუსრულებელია და თავისთავად წარმოადგენს კორუფციის წარმოქმნის წყაროს ან ბიზნესის შეწყვეტის პირობას. ფინანსთა მინისტრის მოადგილემ და სახელმწიფო მინისტრმა ტელევიზიით გამოსვლისას აღნიშნეს, რომ ახალი კოდექსის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით იბეგრება მოთამაშეების სუფთა მოგება, თუმცა ზემოაღნიშნული ნორმებიდან ნათლად ჩანს, რომ კოდექსის ორი მუხლი ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც საჭიროა გამოიცეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრავს დასაბეგრ ობიექტს და გადასახადის გადახდის ვადებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც ფართოდაა გავრცელებული სათამაშო ბიზნესი, გამიჯნულია ერთმანეთისაგან „ტოტალიზატორი" და „საბუქმეიკერო". ტოტალიზატორი არის დაწესებულება, სადაც მისი ორგანიზატორი განსაზღვრავს მოგების ფონდს, რომელიც დამოკიდებულია საერთო შემოსულ თანხაზე, ე.ი. მოთამაშის მოგების შემთხვევაში მოგებული თანხის ოდენობა დამოკიდებულია ფსონების რაოდენობაზე და სხვა დანარჩენი მონაწილეების მოგება-წაგებაზე. მოგებული თანხა, რომელიც უნდა აიღოს მოგებულმა პირმა, ივსება ყოველი წაგებული მოთამაშის თანხიდან, ხოლო ტოტალიზატორის ორგანიზატორი იტოვებს გარკვეულ პროცენტს მთლიანი შემოსული თანხიდან და ყველა შესაძლო შემთხვევაში რჩება მოგებული. რადიკალურად განსხვავებულია საბუქმეიკერო საქმიანობა, სადაც მოგებული თანხა განისაზღვრება გარკვეულ პროგნოზზე წინასწარ ცნობილი კოეფიციენტის, ან კოეფიციენტების ნამრავლით მოთამაშის მიერ თავისი სურვილით დადებულ თანხაზე. ე.ი. მოთამაშისთვის წინასწარ არის ცნობილი მისი მოგებული თანხის ოდენობა პროგნოზის გამოცნობის შემთხვევაში, ხოლო საბუქმეიკეროს ორგანიზატორმა, ტოტალიზატორისგან განსხვავებით, არ იცის, დარჩება თუ არა ის მოგებული შედეგების დაფიქსირების შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში, ფაქტობრივად, ხორციელდება მხოლოდ საბუქმეიკერო საქმიანობა და, შესაბამისად, არ შეიძლება, „საბუქმეიკეროს" დაბეგვრა წარმოებდეს საზღვარგარეთის ქვეყნებში დამკვიდრებული „ტოტალიზატორის" დაბეგვრის სისტემით.

დღესდღეობით საქართველოში განვითარებულ სათამაშო ბიზნესში დასაქმებულია ათი ათასობით ადამიანი. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა შესრულებით ფიზიკურად შეუძლებელი ხდება სათამაშო ბიზნესის წარმოება, ფუნქციონირებას შეწყვეტს კანონმდებლობის სრული დაცვით მოქმედი ყველა სათამაშო დაწესებულება, უმუშევრები დარჩებიან ამ დაწესებულებებში დასაქმებული მოქალაქეები და შესაბამისად ბიუჯეტს მოაკლდება საკმაოდ სოლიდური თანხა. გარდა ამისა, ტოტალიზატორებში თამაშის მსურველები იძულებულნი იქნებიან ითამაშონ საზღვარგარეთის ტოტალიზატორებში ინტერნეტის საშუალებით, რაც ქვეყნიდან თანხების გადინებას შეუწყობს ხელს, ხოლო მოგებას მიიღებენ ყოველგვარი დაბეგვრის გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანადგომას, რათა მოხდეს საგადასახადო კოდექსის გადასინჯვა და შეტანილ იქნეს ცვლილებები იმ სახით, რომ დაცულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მოთხოვნები და სათამაშო ბიზნესის პარალიზების ნაცვლად ხელი შეეწყოს მეწარმეობისა და ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას.

ამასთანავე, ჩვენ გამოვთქვამთ სრულ მზადყოფნას ვითანამშრომლოთ შესაბამის უწყებებთან.

საქართველოს ტოტალიზატორთა და ბუქმეიკერთა ასოციაციის ინიციატივით ახალი საგადასახადო კოდექსით უკმაყოფილო ტოტალიზატორთა მესვეურები გუშინ ერთხელაც შეიკრიბნენ.

ქართველი ბუქმეიკერები უკვე ქმედით ზომებზე გადავიდნენ და გუშინდელი ბჭობა-კამათის შემდეგ დოკუმენტსაც მოაწერეს ხელი. ტოტალიზატორების მეპატრონეთა ხელმოწერებიანი ფურცელი სახელმწიფო მაღალჩინოსნებს გაეგზავნებათ: ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს, სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძეს და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელ რომან გოცირიძეს.

და რა იქნება ამის შემდეგ? ბუქმეიკერები ზემოთ ხსენებული ინსტანციებიდან პასუხს დაელოდებიან და ამის მიხედვით იმოქმედებენ. მათი ვარაუდით, პასუხი არაუმეტეს ათ დღეში უნდა მიიღონ სახელმწიფო ინსტანციებიდან.

ტოტალიზატორების მესვეურებს იმის იმედი აქვთ, რომ ფინანსთა სამინისტრო შიდანორმატიულ აქტებს მიიღებს და საგადასახადო კანონში კორექტივებს შეიტანს.

გუშინდელ შეკრებაზე ითქვა, სახელმწიფო ინსტანციების ზოგიერთი ჩინოსანი ამბობს, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში შეცდომებია გაპარული — პირადი საუბრები კანონს ვერ შეცვლის, თუმც ტოტალიზატორთა მეპატრონეებისთვის ეს იმედისმომცემია.

საქართველოს ტოტალიზატორთა და ბუქმეიკერთა ასოციაციიდან ისიც შევიტყვეთ, რომ მათ შეხედულებებს საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაც იზიარებს და სახელმწიფო უწყებებში ტოტალიზატორთა მფლობელების მხარდამჭერი დოკუმენტი მათაც გაუგზავნიათ.

**დავით თავართქილაძე**





# რას გვერჩოდი, რაკაბულტო?!

## პატიოსან ძოლას დაეჯერება





ჯანფრანკო ძოლამ, მსაჯმა რაკაბულტომ არჩასათვლელი ჩათვალათ

„იუვენტუსს" დავიდ ტრეზეგე დაუბრუნდა. თუმცა სიხარული გაუფერმკრთალდა, რადგან ბოლოწამს, ჯანფრანკო ძოლას თავურმა თითქმის მოპოვებული სამი ქულა ერთამდე შეუმცირა. ერთი სიტყვით, სარდინიაზე, „სტადიო სანტელიაზე" „ბებერ ქალბატონს" მოგება არ გამოუვიდა, არადა, რომ მოეგო, „მილანთან" ოთხქულიან უპირატესობას შეინარჩუნებდა.

ახლა იმაზე ვთქვათ, თუ რას ნიშნავდა ტრეზეგეს „ზოლიანთა" შორის დაბრუნება. ეს იმას ნიშნავდა, რომ მწვრთნელმა, ფაბიო კაპელომ ალესანდრო დელ პიერო დასვა სათადარიგოთა სკამზე. „კალიარის" შემადგენლობაში, თითქოსდა ფორმაში მყოფი და ნაქები ანტონიო ლანგელას ნაცვლად სრულიად მოულოდნელად დავიდ სუაზომ ითამაშა.

ანგარიში მეორე ტაიმის მეათე წუთზე „იუვენტუსმა" გახსნა. ეს ასე იყო: პაველ ნედვედმა ტრეზეგესთან გაითამაშა კომბინაცია და ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც ემერსონი ახტა და თავური დარტყმით დააწინაურა სტუმრები. აღსანიშნავია, რომ ეს ეპიზოდი „კალიარის" ფეხბურთელებმა გააპროტესტეს. მათ შეამჩნიეს, რომ ნედვედთან ბურთის გათამაშების მომენტში ტრეზეგე თამაშგარედ იყო.

„კალიარის" მოთამაშეებისა და მსაჯის, სალვატორე რაკალბუტოს შესახებ აქვე ისევ ვისაუბროთ, ოღონდ მას მერე, რაც ძოლას საპასუხო გოლს აღვწერთ, ხოლო ძოლას გოლი ასეთი გახლდათ: მოედნის შუაში ბურთი სტეფან აპიამ დაკარგა, რითაც ბრამბილამ ისარგებლა, ჩააწოდა, ხოლო ტანმორჩილმა ჯანფრანკო ძოლამ ჯონათან ძებინას მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში აჯობა.

ახლა კი სარდინიელებისა და მსაჯის შესახებ: „კალიარის" მწვრთნელმა, დანიელე არაგონიმ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ არბიტრით ძლიერ უკმაყოფილო დარჩა.

„ფეხბურთელებმა მითხრეს, რომ მსაჯს ისინი გაულანძღავს — მართლაც გასაოცარი ამბავი თქვა არაგონიმ — თვალშისაცემი გახლდათ ჩვენს მიმართ რეფერის უპატივცემულობა და განსხვავება მხარეთა მიმართ დამოკიდებულებაში. გარდა ამისა, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ „იუვენტუსმა" გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან გაგვიტანა".

მსაჯის ქცევაზე ილაპარაკა ძოლამაც, რომელიც იტალიურ ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ფიგურათაგანია და იმავდროულად პატიოსან ადამიანად არის ცნობილი:

„ცალკეულ ეპიზოდებში მსაჯს ნერვიულობას ვატყობდი და, როგორც ჩანს, მომენტების აღქმაც თავისებური ჰქონდა. მართალია, მსაჯობა ძნელი საქმეა, მაგრამ ნებისმიერი არბიტრი მაინც ვალდებულია, მუდმივად ყველაფერზე მაღლა იდგეს. საამისოდ მეტი სიმშვიდეა საჭირო, რაკაბულტო უფრო მშვიდად რომ ყოფილიყო, მატჩის გაძღოლა მეტად გაუადვილდებოდა. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მატჩით აღფრთოვანებული ვარ. ვინ წარმოიდგენდა იმას, რაც მოხდა? გოლის გატანა ყოველთვის დიდებულია, მაგრამ „იუვეს" წინააღმდეგ, მით უფრო, როდესაც შენი გუნდისთვის უმნიშვნელოვანეს ქულას იგებ, ეს გოლი განსაკუთრებულად ძვირფასი ხდება".

**პაპუნა ძიძია**

### იტალია

**სერია A. XIX ტური**

**კალიარი 1:1 იუვენტუსი**

0:1 ემერსონი (64), 1:1 ძოლა (89)

**კალიარი:** იეცო, დ. ლოპესი, მალტალიატი, ბეგა, აგოსტინი, აბეიხონი (კონტი 73), ბრამბილა, გობი, მ. ესპოზიტო, ძოლა, სუაცო (ლანგელა 65)

მწვრთნელი: დანიელე არიგონი

**იუვენტუსი:** ბუფონი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი (აპია 74), ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე (დელ პიერო 74)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: აბეიხონი, ბლაზი, გობი

მსაჯი: რაკალბუტო

25 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 19 | 13 | 5 | 1 | 34:11 | 44 |
| მილანი | 19 | 12 | 6 | 1 | 35:12 | 42 |
| უდინეზე | 19 | 10 | 4 | 5 | 28:18 | 34 |
| ინტერი | 19 | 6 | 13 | 0 | 38:26 | 31 |
| პალერმო | 19 | 7 | 7 | 5 | 19:13 | 28 |
| სამპდორია | 19 | 8 | 4 | 7 | 19:15 | 28 |
| რომა | 19 | 7 | 6 | 6 | 35:29 | 27 |
| კალიარი | 19 | 7 | 5 | 7 | 27:32 | 26 |
| რეჯინა | 19 | 6 | 6 | 7 | 16:20 | 24 |
| ლაციო | 19 | 6 | 5 | 8 | 26:29 | 23 |
| ფიორენტინა | 19 | 5 | 8 | 6 | 19:22 | 23 |
| ლივორნო | 19 | 6 | 5 | 8 | 23:27 | 23 |
| ლეჩე | 19 | 5 | 7 | 7 | 35:38 | 22 |
| ბოლონია | 19 | 5 | 6 | 8 | 19:20 | 21 |
| მესინა | 18 | 5 | 6 | 7 | 22:29 | 21 |
| კიევო | 19 | 5 | 6 | 8 | 18:28 | 21 |
| ბრეშა | 19 | 5 | 4 | 10 | 15:25 | 19 |
| პარმა | 19 | 4 | 7 | 8 | 20:31 | 19 |
| სიენა | 19 | 3 | 8 | 8 | 15:27 | 17 |
| ატალანტა | 18 | 1 | 8 | 9 | 14:25 | 11 |

# ათწლეულის მაკრატელა

## მონტელამ კაპელოს 16 გოლი დაუთვალა



*ვინჩენცო მონტელამ ბოლო ტურში, „კიევოს" კარში ორი გოლი გაიტანა, 16 გატანილი ბურთით სერია A-ს ბომბარდირებს სათავეში ჩაუდგა და იმწუთასვე თავის ყოფილ მწვრთნელს, „რომადან" „იუვენტუსში" წლეულს წასულ ფაბიო კაპელოს მისდგა*

„რატომ ვარ ბომბარდირთა ლიდერი? იმიტომ, რომ დასვენებული გახლავართ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ფაბიო კაპელოს ხელში დიდი დასვენების შესაძლებლობა მქონდა — იხუმრა ფორვარდმა, რომელსაც მართლაც ხშირად ჰქონდა მწვრთნელთან კონფლიქტი, რისი მიზეზიც ერთი იყო, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა — გარდა ამისა მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თანაგუნდელებს, რომლებმაც საგოლე მომენტები შემიქმნეს. მართალია, „კიევოსთან" რომ მოგვეგო, უკეთეს ხასიათზე ვიქნებოდით, მაგრამ ჩვენ ჩამორჩენა გამოვასწორეთ და მეტიც, მესამე გოლის გასატანი დროც დავიტოვეთ, რაც შეუძლებელია დაღებით მოვლენად არ მივიჩნიოთ".

გასულ სეზონში, გეხსომებათ, 30 წლის ყოფილი სამპდორიელი ტრავმების გამო ძირითადად საექიმო კაბინეტში იჯდა, მაგრამ ახლა აღარაფერს უჩივის და ფორმაშიცაა. ამის დასტურად თუნდაც ის გოლი გამოდგება, მონტელამ „კიევოს" სრულიად ჯადოსნური მაკრატელა დარტყმით რომ გაუტანა.

„ასეთ გოლს ათი წელიწადი ველოდი — გულწრფელად თქვა თავდამსხმელმა — ახლა მთავარია, გეზი შევინარჩუნოთ და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი მოვიპოვოთ".

შემდეგ მონტელას თანაგუნდელსა და „რომას" კაპიტანზე, ფრანჩესკო ტოტიზე სთხოვეს ორიოდ სიტყვის თქმა, კერძოდ, ფორვარდს მოუხდა კიდევ ერთხელ დაედასტურებინა საზოგადოებისთვის ის, რომ რომაელთა თილისმა არსად აპირებს წასვლას.

„არ მჯერა, რომ მისებრ გონიერი ადამიანი, რომელიც იმავდროულად „რომას" სიყვარულითაა ანთებული, ქომაგთა უმცირესი ნაწილის არაკორექტული საქციელის გამო მცდარ ნაბიჯის გადადგმას".

აღსანიშნავია, რომ იგივე გაიმეორა „რომას" მწვრთნელმა ლუიჯი დელ ნერიმაც.

„სიენაში მომხდარი ამბავი ფრანჩესკოსთვის უკვე წარსულია. ტოტი ცხოვრებას და კარიერას განაგრძობს. „რომას" მომავალი მისი მომავალიცაა და კლუბი დიდ გეგმებს აწყობს მასზე, ანტონიო კასანოსა და მონტელაზე".

ცნობისთვის: სიენაში ტოტი გულშემატკივართა ერთმა ჯგუფმა შეურაცხჰყო.

**პაპუნა ძიძია**

# რა მხერხება მუტუს?



**ბოლო** პერიოდის იტალიურ ცნობათაგან ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღები გახლდათ ტურინის „იუვენტუსისა" და რუმინელი თავდამსხმელის, „ჩელსიდან" გაგდებული და დისკვალიფიცირებული ადრიან მუტუს ურთიერთხელშეკრულების ამბავი. ამ ტრანსფერთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა „ბებერი ქალბატონის" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ, რომელმაც უპირველეს ყოვლისა რუმინელის დახასიათებით დაიწყო:

„მუტუ ძალიან სწრაფია, სერია A-ს თამაშის სტილი მისთვის ნაცნობია და ზოგადადაც, მას სწორედ ის თვისებები აქვს, რომლებით დაჯილდოვებულ ფორვარდსაც მე ვეძებდი. შეგახსენებთ იმ პერიოდს, როდესაც იგი „პარმაში" თამაშობდა. მაშინ მან საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ მსოფლიო კლასის ფეხბურთელია. მუტუს ეხერხება გოლების გატანა, მაგრამ გარდა ამისა იგი თავადაც ჩინებულად ქმნის საგოლე სიტუაციებს. მე ძალიან ბედნიერი ვარ მისი ჩამოსვლით და ეჭვი არ მეპარება, რომ იგი „იუვენტუსის" მაისურას იმსახურებს".

**პაპუნა ძიძია**

# ტევესს ენა ამოაძრეს

## კარლიტო ტანკში ზის

**უცნაურია,** მაგრამ „კორინთიანსმა" ახალშეძენილ კარლოს ტევესს ჟურნალისტებთან საუბარი აუკრძალა, სანამ პორტუგალიურ ენას სათანადოდ არ შეისწავლის.

ბრაზილიური გუნდის პრესსამსახურის ცნობით, ტევესი საჯარო განცხადებებს მხოლოდ პორტუგალიურის ათვისების შემდეგ გააკეთებს.

შეგახსენებთ, რომ 20 წლის არგენტინელი ფორვარდი „კორინთიანსმა" „ბოკა ხუნიორსიდან" 22 მილიონი დოლარის სანაცვლოდ შარშან დეკემბერში შეიძინა. თავად ფეხბურთელი წლიურად ორ მილიონ დოლარს მიიღებს. ასეთი ძვირფასი მოთამაშის დასაცავად ბრაზილიურმა კლუბმა უპრეცენდენტო ზომებს მიმართა. „კარლიტოს" 24 საათის განმავლობაში რამდენიმე პირადი მცველი ახლავს და მხოლოდ ჯავშნიანი ავტომობილით დადის.

**ვაჟა ხუციშვილი**




# დიდი მატჩის ორი უფროსი

## ვენგერი VS ფერგიუსონი

## გრძელდება

გრძელდება სიტყვიერი ომი არსენ ვენგერსა და ალექს ფერგიუსონს შორის.

საბაბი კვლავ ის თამაშია, ოქტომბერში რომ გაიმართა „ოლდ ტრეფორდზე“ და „მანჩესტერმა“ მოიგო. პარასკევს ფერგიმ სამარცხვინო უწოდა ვენგერის ქცევას იმ თამაშის შემდეგ და თქვა, მაგ კაცმა წაგება არ იცის, გასახდელში ფეხბურთელები დამილანძღაო.

საბაბი კი ის ძველი თამაშია, მაგრამ მიზეზი ახალი: 1 თებერვალს გუნდები „ჰაიბერიზე“ ხვდებიან ერთმანეთს. ამიტომ ვენგერიც მწარედ გაეპასუხა ნასროლ სიტყვას: „ეგ კაცი რასაც უნდა იმას ამბობს და იმას აკეთებს. ორ კვირაში კვლავ ვხვდებით ერთმანეთს და თამაშის გარშემო ჯანსაღ ვითარებას ანადგურებს. ამ თამაშის შემდეგ მომხდარი ამბავი მე არასოდეს გამიპერავს, თვითონ ატეხა. თუ მას გაზეთში სტატია უნდა, ის ისეთ რამეებს ამბობს, რომ სტატია კეთდება. პირდაპირ ვიტყვი, მე ეგ კაცი არ მაინტერესებს, რაც უნდა, ის თქვას. პასუხს არ გავცემ. დიპლომატიური ურთიერთობაც კი აღარ მექნება მასთან“.

ფერგიუსონი კი მაინც თავისას ადგას. მან ვერ დაივიწყა, რომ გასახდელში შესულს „არსენალის“ ერთ-ერთმა მოთამაშემ პიცის ნაჭერი და წვნიანის ჯამი ესროლა. ვენგერი კი ნაძირალებს უწოდებდა „მანჩესტერის“ ფეხბურთელებს: „ვუთხარი, თავი დაანებე ჩემი ფეხბურთელების ლანძღვას-მეთქი. მან კი ხელების ქნევით მომიგო, ეგრე თამაში როგორ შეიძლებაო. მას ბოდიში უნდა მოეხადა ჩემთვის მისი ფეხბურთელების საქციელის გამო. ეს წარმოუდგენელია, რომ მან არაფერი თქვა. აქ ინგლისია, თამაშის შემდეგ ახალი თამაში იწყება. მას უნდა ეთქვა, რომ მისი ფეხბურთელები ცუდად მომექცნენ“.

მოკლედ, 1 თებერვალს დიდი მატჩია

**ირაკლი გამყრელიძე**

# სროლა კოპიდან

## რუნი, შე ევერტონელო!

ფეხბურთის ასოციაცია საპოლიციო მოკვლევის შედეგს ელოდება იმის თაობაზე, როგორ ესროლეს „ენფილდის“ კოპის ტრიბუნიდან უეინ რუნის მობილური ტელეფონი.

სროლა „ლივერპულის“ კარში რუნის მიერ გატანილ გოლს მოჰყვა: ფეხბურთელი კარსუკან გაქანდა და იქ ზეიმობდა გოლს, თანაც ისე, რომ „ენფილდის“ ყველაზე შმაგ ტრიბუნას, ალბათ როგორც ძველი ევერტონელი, განსაკუთრებული ბოღმით ეზომებოდა. „ლივერპულის“ ფანებიც გაჯავრდნენ, ხომ იციან, რომ მანჩესტერული სამოსის ქვეშ „ლივერპულის“ მოსისხლე მტრის, ევერტონელის გული ძგერს. ამ საქმის შედეგი კი ისაა, რომ მობილური მინდორზეა ნაპოვნი, მსროლელი კი დაკავებული და დაკითხულია.

**ირაკლი გამყრელიძე**




# ძველმოდური მელორი

*„ლივერპულმა“ ფერნანდო მორიენტესი რომ იყიდა, ამ გუნდის გულშემატკივრებს გაუხარდათ, ყმაწვილ ფორვარდ ნილ მელორისთვის კი სახელოვანი კონკურენტის გამოჩენა საამო ამბავი არ უნდა ყოფილიყო, თუმც მთლად ასეც არაა საქმე. მელორი „ენფილდზე“ მსოფლიო დონის ფეხბურთელთა ჩასვლის მომხრეა, ისინი „ლივერპულს“ დაეხმარებიანო. უეფას ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში ნილ მელორი ესპანელ მეგოლეზე, ჩემპიონთა ლიგასა და რაფაელ ბენიტესზე საუბრობს*

**— მორიენტესის შეძენა თქვენ ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაგაკარგვინებთ?**

— მე და სინამა-პონოლემ უკვე დავუმტკიცეთ მწვრთნელს, რომ საჭიროების შემთხვევაში გუნდისთვის თავს არ დავზოგავთ. „ლივერპულს“ ევროგრანდებში გარევა სურს და, ცხადია, საამისოდ ექსტრაკლასის ფეხბურთელები უნდა იყიდოს. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლით კი კლუბის სალარო შესამჩნევად შეივსო.

**— 2004 წლის მიწურულს „არსენალსა“ და „ოლიმპიაკოსს“ უმნიშვნელოვანესი გოლები გაუტანეთ. შეძლებთ, ასევე კარგად გააგრძელოთ სეზონის ბოლომდე?**

— გადამწყვეტ მომენტში გატანილი გოლები პირველ რიგში ფსიქოლოგიურად მაწონასწორებს, ამიტომ მიღწეულზე არ შევჩერდები. ღრუბლებში ნავარდს არ ვაპირებ და კვლავაც მონდომებით ვივარჯიშებ, რომ რაღაც-რაღაცები დავხვეწო.

**— რაფა ბენიტესი რჩევა-დარიგებას ხშირად გაძლევთ?**

— ბევრი რამ ჟერარ ულიესგან ვისწავლე, მერე „ვესტ ჰემში“ გამანათხოვრეს, რომელსაც გლენ როდერი წვრთნიდა. ისიც ყველანაირად მეხმარებოდა. ტრევორ ბრუკინგს და ალან პერდიუსაც ვერ დავუკარგავ ამაგს, ხოლო ბენიტესმა თავისებურად დამარიგა და დამმოძღვრა.

**— „ოლიმპიაკოსთან“ 1:1-ზე შეცვლაზე შეხვედით და უმალ გაიტანეთ. განსაკუთრებული საგოლე ალღო გაქვთ?**




— სხვა ფორვარდების მსგავსად ვცდილობ, საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოვჩნდე. ჩემს სათამაშო ყაიდას სანახაობრივს ვერ უწოდებ. ზოგი ძველმოდურ თავდამსხმელად მიმიჩნევს, თუმც აქ უკვე ველარაფერს შეცვლი — ვცდილობ, რომ ბურთი ბალახზე ვაგორო, თანაგუნდელები შეტევაში ჩავრთო და კარის წინ საგოლე მომენტს დაველოდო. მიხარია, რომ ჩემი შედეგიანობით „ლივერპულის“ გამარჯვებაში წვლილის შეტანა შემიძლია, ამიტომ მოედანზე ბოლომდე ვიხარჯები.

**— „ლივერპულს“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლის რეალური შანსი აქვს?**

— საამისოდ ნერვიულობის მიზეზი არ გვაქვს. ევროპის 16 საუკეთესო გუნდში მოვხვდით და წინსვლაზე რატომ არ უნდა ვიფიქროთ? გულშემატკივართა სათანადო მხარდაჭერის შემთხვევაში ყველაფერს შევძლებთ.

**— ჩემპიონთა ლიგის ფავორიტად ვინ მიგაჩნიათ?**

— ესპანური და იტალიური კლუბები ტრადიციულად ძლიერნი არიან. „მილანს“ და „იუვენტუსს“ კარგი დაცვით შეუძლიათ იტრაბახონ და იმავდროულად ბრწყინვალე შემტევები ჰყავთ, ამიტომ ორივეს ფავორიტად ვთვლი.


ნაიჯელ ქვოში

# ქვოში პორტიდან პორტში

## რედნაპმა კუდი გამოიბა

„საუთჰემპტონმა“ „პორტსმუთის“ ნახევარმცველი ნაიჯელ ქვოში 2 მილიონ ასი ათასი გირვანქის სანაცვლოდ შეიძინა. ქვოშმა, რომელიც პორტსმუთელებს 2000 წელს 600 ათასი გირვანქა დაუჯდათ, „წმინდანებთან“ გუშინ სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

შეგახსენებთ, რომ „საუთჰემპტონის“ ამჟამინდელი მწვრთნელი ჰარი რედნაპი ორი თვის წინ „პორტსმუთის“ თავკაცი იყო და ნაიჯელ ქვოშიც მის კვალს დაადგა. „წმინდანები“ პრემიერლიგაში ბოლოსწინა ადგილზე არიან და გუნდის გაძლიერებას აპირებენ. მათ მეგოლე ჯეიმს ბიტი „ევერტონში“ 6 მილიონ გირვანქად გაყიდეს და ამ ფულის ნაწილი სწორედ პორტსმუთელ ნახევარმცველში გადაიხადეს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ასოციაციის თასის მეოთხე ეტაპზე, ზღვისპირულ დერბიში „საუთჰემპტონი“ „პორტსმუთს“ მასპინძლობს. რედნაპმა „ტოტენჰემიდან“ თავისი შვილი ჯეიმიც (როგორც თავისუფალი აგენტი) წაიყვანა, კალუმ დევენპორტი კი სეზონის ბოლომდე ითხოვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რობსონი გაძარცვეს

„ვესტ ბრომვიჩის“ მენეჯერმა ბრიან რობსონმა მისი გუნდისა და „ფულემის“ მატჩის მსაჯი პიტერ უოლტონი გააკრიტია. „ფულემმა“ პაპე ბუბა დიოპის 91-ე წუთზე გატანილი გოლით დაამარცხა ლიგის მაჩანჩალა.

რობსონი ორ პენალტს ითხოვდა ამ მატჩში: „ვიდეოფირი სამჯერ ვნახე და დარწმუნებული ვარ, რომ გაგვძარცვეს. მაგალითად, კევინ კემპბელის წაქცევაზე ნაღდად პენალტი იყო. მსაჯი უსამართლოდ მოგვექცა, ჩვენ კარგად ვითამაშეთ. შემდეგ 6 თამაშში ასე თუ გავაგრძელებთ, მეტს მოვიგებთ, ვიდრე წავაგებთ.“

**ირაკლი გამყრელიძე**



# ანელკა ოსმალეთის გზაზე




**ნიკოლა ანელკას** „მანჩესტერ სიტიდან" წასვლა უნდოდა და „ფენერბაჩეში" მისი გადასვლაც თითქმის გადაწყვეტილია. ფრანგული „ეკიპის" ცნობით, სტამბოლური კლუბი მის სანაცვლოდ თორმეტ მილიონი ევროს გადახდაზე ყაბულსაა. მანჩესტერელები წინასწარ ხუთ მილიონს მიიღებენ, შვიდს კი — მოგვიანებით. ანელკა „ფენერბაჩესთან" ოთხწლინახევრიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს.

„მანჩესტერ სიტის" პრეზიდენტმა კრის უორდლმა განაცხადა, დეტალებიღაა დასაზუსტებელი და ორი კლუბი პირობებზე ფაქტობრივად შეთანხმდაო. თურქული „ჰუსეტი" კი ამტკიცებს, რომ ფრანგი ფორვარდი სტამბოლში დღეს ჩავა.

25 წლის ნიკოლა ანელკას „არსენალში", მადრიდის „რეალში" „ლივერპულსა" და პსჟ-ში უთამაშია. პსჟ-დან „მანჩესტერ სიტიში" 2002 წელს გადავიდა, მაგრამ ამ სეზონის განმავლობაში კევინ კიგანთან ურთიერთობა წაუხდა. დიდ გუნდში თამაში მინდაო, თქვა ანელკამ ორიოდ თვის წინ, რის გამოც ფანები გაუწყრნენ, „მანჩესტერ სიტი" სხვებზე ნაკლები რით არისო. დიდ გუნდში უნდოდა და ალბათ „ფენერბაჩეში" მოხვდება.

**ბაჩა ხუციშვილი**

# მთვრალი მასინგა და 83 დოლარი

**სამხრეთ აფრიკის** ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ ფილ მასინგას სასამართლოში სიარული მოუწევს. შეგახსენებთ, რომ სამხრეთაფრიკელები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატს უმასპინძლებენ, მასინგა კი საორგანიზაციო კომიტეტმა საპატიო ელჩად დანიშნა.

35 წლის ელჩი გასულ შაბათ საღამოს დათვრა და BMW 735-ის საჭეს მიუჯდა. ოთხთვალას პრეტორიის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში დააჭენებდა. გალეშილი მასინგა ჯირითისას შემხვედრ ავტომობილს დაეჯახა, პოლიცია მყისვე იქ გაჩნდა და დამნაშავე გაბაწრა. ინსპექტორ სემ ტსელანიანეს განცხადებით, მთვრალმა მძღოლმა სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაწუია და ლამის მუშტი-კრივი გაუმართა. ფილ მასინგას შაბათ საღამოსვე 83 დოლარი გადაახდევინეს და თავდებით გაუშვეს, საქმის გარჩევა კი მოგვიანებით გაიმართება.

**ბაჩა ხუციშვილი**

# ბრაზილიელს ფრანგი გაუხარდა
## ბაიერნი ბაიერს გაიმეორებს?




მიუნხენის „ბაიერნში" ბიქსენტ ლიზარაზუს დაბრუნება ყველაზე მეტად თურმე ზე რობერტოს გაუხარდა. მარცხენა ფლანგზე ფრანგულ-ბრაზილიური წყვილი შესაძლოა, ისევ აღდგეს.

„მიხარია, რომ ლიზარაზუ კვლავ „ბაიერნშია" — თქვა ზე რობერტომ — ჩვენ ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებთ. ჩემს სათამაშო ყაიდას იცნობს და, ვფიქრობ, ძველებურად ავაწყობთ. ფრანგის მოსვლა გუნდისთვის მეტად სასარგებლო იქნება".

ბავარიელებმა სეზონი მძიმედ დაიწყეს, მაგრამ პირველი წრის მიწურულს მოუმატეს და ზამთრის შესვენებისთვის ბუნდესლიგის სათავეში მოექცნენ. ფელიქს მაგათის შეგირდებმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშიც გააღწიეს, სადაც ლონდონის „არსენალს" დაეჯახნენ. ბრაზილიელი ნახევარმცველი იმედოვნებს, რომ მისი გუნდი სეზონის მეორე ნახევარს უკეთესად ჩაატარებს.

„ახლებური ტაქტიკით თამაში თავიდან გაგვიჭირდა, მაგრამ ბოლოს ალლო ავუღეთ. მაგათი ძალიან ბევრს მუშაობს, ჩვენ კი მისი რჩევა-დარიგებების შესასრულებლად თავი არ დაგვიზოგავს, რამაც შედეგი გამოიღო. ამჟამად მწვრთნელის ნებისმიერი დავალების შესრულება შეგვიძლია და დარწმუნებული ვარ, ერთ ჯილდოს მაინც მოვიგებთ — აღნიშნა ზე რობერტომ — „ბაიერნი" მეორე წრისთვის მონდომებით ემზადება და დიდი ბრძოლა გველის. ჩემპიონობა ყველას გვსურს, ამიტომ გამარჯვებისთვის ასი პროცენტით დავიხარჯებით. თუმც, „შალკე", „ვერდერი" და „შტუტგარტი" იოლად არაფერს დათმობენ".

მეორე წრის განახლებისთანავე „ბაიერნი" ბუნდესლიგაზე იქნება მომართული, ხოლო თებერვლის მიწურულს ლონდონის „არსენალთან" მერვედფინალური მატჩი ელის. ზე რობერტოს ემა კიდეც, ასეთი ძლიერი მეტოქე რომ ერგოთ. „გულშემატკივრებს ორი კარგი მატჩის ნახვა გარანტირებული აქვთ — განაცხადა ბრაზილიელმა — და ჩვენც მოუთმენლად ველით პირველ შეხვედრას. ასეთ დაპირისპირებაში ყველაფერია მოსალოდნელი და „მეთოფეებს" თუ ვძლიეთ, ეს გამარჯვება საკუთარი ძალების რწმენას შეგვმატებს. ასე მგონია, რომ „არსენალის" დამარცხების შემდეგ ნებისმიერ ევროგრანდს ვაჯობებთ. ლონდონელები ამჟამად გაცილებით ძლიერნი არიან, ვიდრე სამი წლის წინ. მაშინ „ბაიერში" ვთამაშობდი და „ჰაიბერიზე" 1:4 წავაგეთ, თუმც საბოლოოდ ჩემპიონთა თასის ფინალში ჩვენ გავედით. „ბაიერმა" იმ სეზონში მასზე უკეთეს ბევრ მეტოქეს აჯობა და, ვიმედოვნებ, „ბაიერნის" შემადგენლობაში იგივეს გავიმეორებ".

**ბაჩა ხუციშვილი**

# ძმა მეფე, და დედოფალი

**სანტიაგო სოლარი** ახალი მწვრთნელის ხელქვეით ძირითად შემადგენლობაში იმკვიდრებს ადგილს, მისი და ლისი კი სპორტის სხვა სახეობაში ვარჯიშობს — პროფესიონალი ფოტომოდელია და არგენტინაში ძალიან პოპულარულია. იმდენად სახელდაგდებულია, რომ ქალაქ ვინია დელ მარის თავებმა სწორედ მას ანდეს იქაური ფესტივალის მონაწილეთა შეფასება. ამჯერად ლისი თავის ხორციელ სიმდიდრეს საჯაროდ არ გაასეირნებს, მხოლოდ ჟიურის წევრთა შორის იქნება და მათ ფესტივალის საუკეთესოთა გამოვლენაში დაეხმარება.



**ბაჩა ხუციშვილი**




**ინგლისურმა** „ფულემმა" ჰენრიკ პედერსენი და ფერნანდო იერო ტრანსფერზე დააყენა. საინტერესოა, რომ დანიელი ფორვარდი 9 გოლით მიმდინარე სეზონში კლუბის საუკეთესო ბომბარდირია. მოულოდნელი იყო იეროს გასხვისების გადაწყვეტილებაც, ამით თავად ვეტერანი ესპანელიც გაოგნებულია: „ვერანაირ მიზეზს ვერ ვპოულობ. ეს ჩემთვის ნამდვილი შოკია. უახლოეს დღეებში უფროსობას შევხვდები და იმედია, ამიხსნიან ყველაფერს" — აღნიშნა იერომ.

**რუსული** ცსკა კვლავ გაძლიერებაზე ფიქრობს. კლუბი ზაგრების „დინამოს" 20 წლის პერსპექტიულ ნახევარმცველ ნიკო კრანჩარის დამატებას აპირებს. ახალგაზრდა ხორვატი უკვე მოსკოვშია და სავარაუდოდ მხარეები მალე კონტრაქტსაც გააფორმებენ. ამასთანავე, არმიელები ლონდონური „ჩელსის" სერბ ფორვარდ მატეა კეჟმანსაც უტრიალებენ, რომელიც „არისტოკრატთა" ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება.

**პორტუგალიური** „ბენფიკა" ბრაზილიელ მცველ ანდრე ლუიზით გაძლიერდა. მხარეებმა სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმეს, ხოლო რა თანხა მიიღო 25 წლის ფეხბურთელის ყოფილმა კლუბმა „სანტოსმა", ჯერჯერობით უცნობია. ანდრე ლუიზმა ახალ კლუბთან ერთად უკვე ივარჯიშა. იგი ბრაზილიის ორგზის ჩემპიონია.

**ინგლისური** „არსენალი" „ფულემის" მეკარის, ედვინ ვან დერ სარის შეძენას აპირებს. კარგა ხანია, ჰოლანდიელს კლუბის გამოცვლა სურს და „ფულემიც" მზადაა, მას ახლავე შეელიოს, თუ ტრანსფერში 500 ათას გირვანქას მიიღებს. აღსანიშნავია, რომ „არსენალში" გადაბარგებაზე უარს არც თავად ვან დერ სარი ამბობს.

**ბელგიური** „ანდერლეხტი" ინგლისური „ჩელსის" მეოთხე მეკარის ივ მაკაბა-მაკალამბეის თხოვებას აპირებს. მხარეები შეთანხმებას სავარაუდოდ კვირის ბოლომდე მიაღწევენ. ბრიუსელური კლუბი ძირითადი გოლკიპერის, დანიელ ზიტკას დუბლიორს ეძებს, 18 წლის ფრანგი კი ერთ-ერთი ყველაზე სასურველი კანდიდატურაა. ძლიერი გუნდის გამოცვლა და სათამაშო პრაქტიკის მიღება თავად მაკაბა-მაკალამბეისაც ძალიან უნდა.

**ინგლისური** „მანჩესტერი" 23 ივლისს ჰონკონგის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. გარდა ამისა, „წითელი ეშმაკები" მომავალ ზაფხულს ჩინეთთანაც ითამაშებენ. 23 ივლისს ჰონკონგის ფეხბურთის ფედერაცია დაარსების 90-ე წლისთავს აღნიშნავს, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედი" აზიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს და სწორედ ამის გამოა მიწვეული.

**გერმანული** „მიონხენგლადბახი" 35 წლის ამერიკელ გოლკიპერ კეისი კელერით გაძლიერდა. ვეტერანმა მეკარემ ლონდონურ „ტოტენჰემთან" ცოტა ხნის წინ გაწყვიტა კონტრაქტი და „გლადბახშიც" თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა. „დიკ ადვოკაატისგან წინადადება მივიღე და დაუფიქრებლად დავთანხმდი. ინგლისში თითქმის ათი სეზონი გავატარე და დროა, ჩემს კარიერაში გარკვეული ცვლილებები შევიტანო, ბუნდესლიგა ყოველთვის მიზიდავდა, თანაც ჩემი წინაპრები სწორედ გერმანიიდან არიან" — თქვა კელერმა.

**ფრანგულმა** „ნიცამ" ბრაზილიური „იუვენტუდედან" პერსპექტიული ნახევარმცველი ედერსონი ინათხოვრა. სეზონის ბოლოს „ნიცამ" ეგებ 19 წლის ფეხბურთელი ბოლომდეც გამოისყიდოს. ედერსონი ბრაზილიაში ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ მოთამაშედ ითვლება. შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ იგი 17-წლამდელთა ნაკრებში თამაშობდა და მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა.

**ინგლისური** „მანჩესტერ სიტი" 24 წლის ფრანგი მეკარით, სტივ ელანით დაინტერესდა. „ვიცი, რომ ინგლისურ კლუბს ჩემი გადაბირება სურს, მაგრამ სხვა წინადადებებიც მაქვს. ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია. სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ მხიბლავს, „სიტის" კარს ხომ ინგლისის ნაკრების მეკარე დევიდ ჯეიმსი იცავს. სწორედ ამიტომ არ ვჩქარობ, კარგად უნდა გავთვალო, საფრანგეთში დარჩენა აჯობებს თუ ინგლისში გადასვლა" — თქვა ელანმა.

**გერმანული** „ვერდერის" ხელმძღვანელობამ კლუბის ორი ნახევარმცველი, იოან მიკუ და ფაბიან ერნსტი დააჯარიმა. თურქეთში, შეკრებაზე ყოფნისას ერნსტმა ბრემენელთა ფრანგ ლეგიონერს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. პასუხად მიკუმ თანაგუნდელს სახეში თავი უთავაზა და თვალი დაუზიანა. „ვერდერის" მთავარი მწვრთნელი თომას შააფი ორივეს მკაცრად ესაუბრა, ხოლო ხელმძღვანელობამ ისინი გასაიდუმლოებული თანხით დააჯარიმა.

**ბრაზილიურმა** „კორინთიანსმა" პორტუგალიური „პორტუდან" 20 წლის ფორვარდი კარლოს ალბერტო შეიძინა. ეს უკანასკნელი „დრაკონთა" ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლებოდა და მის გაყიდვას არავინ ელოდა. თუმც, გავრცელებული ინფორმაციით, „კორინთიანსმა" კარლოს ალბერტოს სანაცვლოდ 7 მილიონი ევრო გადაიხადა. მხარეებმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

**იტალიური** „მილანი" ზაფხულში ფერნანდო ტორესს გაუფორმებს კონტრაქტსო, იტყობინება გუშინდელი ესპანური პრესა. მოგეხსენებათ, მადრიდული „ატლეტიკოს" ახალგაზრდა ფორვარდზე „შავწითლებს" თვალი რა ხანია, დადგმული აქვთ. ტორესს „მილანის" გარდა, ლონლონური „ჩელსი" და „მანჩესტერ იუნაიტედიც" ეპატიჟება, თუმც „ელ ნინიოს" თქმით, მას ინგლისზე მეტად იტალიაში ბურთაობა ხიბლავსო, დასძენენ მედიელები.



# ამ მკერდში სამი გული დევს

## პელე: ვინ არის მსოფლიოში საუკეთესო? რა თქმა უნდა, პელე!

*მარადონა თუ პელე, პელე თუ მარადონა... გინდა არ გინდა, დავა-კამათი დღემდე გრძელდება და ალბათ ასე გაგრძელდება დაუსრულებლად.*

*ფეხბურთის მეფედ შერაცხული ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუ, იგივე პელე ახლა მადრიდშია და გუშინწინ „სანტიაგო ბერნაბეუს" სტუმრობდა.*

*პელემ ჯერ „რეალ" — „სარაგოსას" დაწყებამდე გააგორა ბურთი, მერე კი საპატიო სტუმართა ლოჟაში გადანაცვლებულმაც ბევრი იხითხითა.*

*ჰოდა, ისე როგორ იქნებოდა, მას ჟურნალისტებისთვის რომ არ მოეცალა? მადრიდულმა AS-მა ყველას დაასწრო და მისმა მარიფათიანმა ჟურნალისტმაც მეფესთან ეს ინტერვიუ გამოაცხო*

**— როგორ გრძნობს თავს სუე პელე?**

— ძალიან კარგად. ადამიანისთვის მთავარი ჯანმრთელობაა და თუ ჯანმრთელად ხარ, ესე იგი, კარგად ხარ.

**— გეტყობათ, ჯანმრთელობას არ უჩივით...**

— ღვთის შეწევნით ასეა. იცით, ხალხს ვეხუმრები, სამი გული მაქვს-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, ჩემს მშობლიურ ქალაქს ტრეს კორასონესს ჰქვია, რაც სამ გულს ნიშნავს. ერთი გული მუშაობს, დანარჩენი ორი კი რეზერვში მაქვს შენახული.

**— ბრაზილიაში პელეს ასახელებენ, ხოლო არგენტინაში — დიეგო მარადონას. ეგებ, თქვენ მითხრათ, ფეხბურთის ისტორიაში ნამდვილად მსოფლიოს საუკეთესოს ვესაუბრები?**

— გააჩნია ქვეყანას, გერმანიაში საუკეთესოდ ალბათ ბეკენბაუერი მიაჩნიათ... [illegible] გაიხსრათ, ამის თაობაზე ჩემი მხრიდან ლაპარაკიც კი მოკრძალებული გამოვა, რადგან პელეს დიდი ფანი ვარ და ვთვლი, რომ მასზე უკეთესი არავინაა. ამის დასამტკიცებლად ტელეეკრანებზე მალე ორსაათიანი ფილმი გამოვა და ყველაზე ახალგაზრდა გულშემატკივრებსაც ეჭვები გაუფანტდებათ.

**— მაშინ შეადარეთ, პელე თუ მარადონა...**

— დიეგოს ძლიერი მხარე მისი მარცხენა ფეხი იყო, რადგან თავით თამაში არ იცოდა და მარჯვენა ფეხითაც კარგად ვერ ურტყამდა. ეს გახლდათ ფეხბურთელი, რომელიც ცალითაც შესანიშნავად ბურთაობდა და ფანტასტიკურად მარჯვე იყო, ოღონდ პელე მასთან შედარებით უფრო სრულყოფილია. გაიხსენეთ პელეს გატანილი ბურთები თავით, მარცხენა ფეხით, მარჯვენათი... საერთო ჯამში კი, ვფიქრობ, ჩემი საუკეთესო მხარე ფიზიკური მონაცემების განაპირობა. ყოველთვის ვამბობდი, რომ ღმერთისგან ფეხბურთის თამაშის ნიჭი მაქვს ბოძებული. ფიზიკურად თუ თავს კარგად ვგრძნობდი, ჩემი შეჩერება არავის შეეძლო.

**— ალფრედო დი სტეფანოზე რას იტყვით?**

— ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო, ძალიან სწრაფი. მისი თამაში, ცხადია, მინახავს და მის წინააღმდეგაც მითამაშია. ერთხელ დი სტეფანოსთან ერთად მატჩიც წავაგე...

**— ეს მიგელ მუნიოსის საბენეფისო შეხვედრა იყო. მაშინ მადრიდის „რეალმა" 5:3 დაგამარცხათ...**

— რა გაეწყობა, სიმართლეს ვერსად გავექცევით. დი სტეფანო კი მართლაც საოცარი იყო. ჩემს არგენტინელ მეგობრებს კამათისას ხშირად ვეკითხები — თქვენ, არგენტინელებმა, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაარკვიოთ საუკეთესო ფეხბურთელი ვინ გყავდათ. მავანთა აზრით, ეს დი სტეფანოა, დანარჩენებს ომარ სივორი მოსწონთ, შედარებით ახალგაზრდებს კი დიეგო მარადონა. ანუ ჯერ მათ თავიანთი ქვეყნის საუკეთესო დაადგინონ და პელესთან გატოლებაზე მერე იფიქრონ.

**— თქვენს დროინდელ „სანტოსს" დი სტეფანოს „რეალზე" უკეთესად თვლით?**

— ორივე ძლიერი გუნდი იყო. „სანტოსს" ოდნავ მეტი გამოცდილება ჰქონდა, რადგან „რეალზე" გაცილებით ბევრ თამაშს ვატარებდით. რატომ? ჩვენებს საკმარისი ფული არ გააჩნდათ, რათა ფეხბურთელებს ანაზღაურება მიეღოთ, ამიტომაც ვმონაწილეობდით ხშირად საერთაშორისო ტურნირებში, ჩილეს, მექსიკას, საბჭოთა კავშირს ვსტუმრობდით... „რეალი" კი ძირითადად ევროპაში ყოჩაღობდა.

**— ევროპაში სათამაშოდ რატომ არ წახვედით?**

— იმიტომ, რომ „სანტოსში" კმაყოფილი ვიყავი, კლუბიც საკმაოდ კარგად მიხდიდა. მადრიდში ან იტალიაში წასვლა კი საჭიროდ არ ჩავთვალე და, მართალი გითხრათ, გულიც არ მიმიწევდა — „სანტოსი" ვერ დავტოვე. დღეს კი რა ხდება? ზოგიერთი ფეხბურთელი ზედმეტი 10 დოლარისთვის მზადაა, კლუბი დაუყოვნებლივ გამოიცვალოს. რატომ? უბრალოდ, ვერ ვხვდები, თუ შენს გუნდში თავს კარგად გრძნობ, სხვაგან რატომ უნდა წახვიდე? მაშინ სხვანაირი მენტალიტეტი იყო.

**— დავუშვათ, წასულიყავით სათამაშოდ ევროპაში, რომელ გუნდს აირჩევდით?**

— უეჭველად მადრიდის „რეალს". ეს გუნდი „სანტოსივით" სწრაფად თამაშობდა, თანაც ხენტო, დი სტეფანო, ამანსიო, მართლა ვარსკვლავები ჰყავდათ. შედარებით გვიან იქ ჩემი თანამემამულე დიდი მივიდა და მეც კინაღამ მადრიდისკენ გავიხედე, თუმცა ბედს ალბათ უნდოდა, რომ ეს არ მომხდარიყო.

**— ალბათ, „რეალის" პრეზიდენტ სანტიაგო ბერნაბეუსთან შესაძლო ტრანსფერზეც ისაუბრეთ...**

— ბერნაბეუს ორჯერ თუ სამჯერ ველაპარაკე. ჯანი ანიელისთანაც მქონია ურთიერთობა „იუვენტუსში" გადასვლის თაობაზე. იმ დროს კონცერნი „ფიატი" ბრაზილიაში ფილიალებს ხსნიდა და ანიელიც ფირმის აქციებს მჩუქნიდა, რათა „იუვეში" მეთამაშა. მერე მექსიკიდანაც მქონდა შემოთავაზებები, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, „სანტოსიდან" წასვლა არ მსურდა, რადგან ბრაზილიაში ძალიან კარგად ვიყავი. კარიერის დასასრულს, ნიუ იორკში გამგზავრების წინ, „რეალი" კვლავ შემეხმიანა, მაგრამ მაინც ამერიკის პირველობა ვარჩიე, რადგან იქ შედარებით მსუბუქი დატვირთვები იყო, ჩემპიონატიც მხოლოდ ექვსი თვე გრძელდებოდა, თანაც აშშ-ში საერთაშორისო სამართალი და სპორტული მარკეტინგი მინდოდა შემესწავლა.

**— ამბობენ, რომ მეტოქეებს მინდორზე თქვენი დანახვისთანავე ეშინოდათ...**

— მყავდა ერთი მწვრთნელი, რომელიც ფეხბურთელობისას მამაჩემთან ერთად თამაშობდა. სწორედ მან მასწავლა, მოედანზე ნამდვილი მხეცივით უნდა იყოო. მინდვრის ყველა მონაკვეთის გაკონტროლებას მივეჩვიე და რთულ ეპიზოდებშიც ვითარების სწორად შეფასება არ მიჭირდა — ხალხი ახლაც კი ამბობს, პელეს ერთი თვალი ზურგზეც ჰქონდაო... ამჟამად ბევრია ისეთი, რომელიც უზარმაზარ ხელფასს იღებს და სადღაც მოედნის ცენტრში უთავბოლოდ ტრიალებს. სანამ ბურთს მიიღებ, იქამდე უნდა იცოდე, სადაა შენი თანაგუნდელი. ხშირად მეცინება, დღევანდელ ზოგიერთ მოთამაშეს სუპერვარსკვლავს რომ უწოდებენ.

**— „სანტიაგო ბერნაბეუს" სტუმარი ბრძანდებოდით და „რეალის" ვარსკვლავებიც თქვენებურად დაახასიათეთ — ზინედინ ზიდანით დავიწყოთ...**

— ზიდანი ბოლო ათწლეულის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია.

**— რონალდო...**

— მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელი. ადრე ტრავმები აწუხებდა, დღეს კი რონი ყველას სჯობს.

**— დევიდ ბექემი...**

— მას მხოლოდ ერთი ფუნქცია აქვს — ითამაშოს მარჯვენა ფლანგზე და თანაგუნდელები პასებით მოამარაგოს. შეცდომაა, როცა ინგლისელს მოედანზე უნივერსალობას სთხოვენ.

**— ანუ ცენტრში არ უნდა დააყენონ?**

— ვერ ხედავთ, რომ უჭირს? სიმარჯვე აკლია. გულახდილად იმასაც ვიტყვი, რომ ბექემი არ არის ის ფეხბურთელი, რომელიც მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე ერთნაირად, შედეგიანად ითამაშებს. მარჯვენა ფლანგი კი ნაღდად იცის, იცის ბურთთან მოპყრობაც, მაგრამ...

**— იკერ კასილიასი...**

— მასზე ბევრად დიდი მეკარეები მინახავს, მაგრამ ახლაც გულახდილად გეტყვით, კასილიასი შესანიშნავია, ისევე როგორც „მილანის" ბრაზილიელი დიდა.

**— ლუიშ ფიგუ...**

— ფაქტია, ფიგუ „რეალისთვის" უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. გუნდს მარტო ვარსკვლავებით ვერ შექმნი, ისეთი ხალხიც უნდა გყავდეს, ვინც იბრძვის, დარბის... მიმიხვდით რისი თქმაც მსურს? „რეალს" კლოდ მაკელელეს გაყიდვის მერე დიდი პრობლემები შეექმნა, ადრე გუნდი უფრო გამართულად ბურთაობდა.

**— რობერტო კარლოსი...**

— ბოლო ათწლეულის საუკეთესო მცველია. „ოქროს ბურთი" რა ხანია უნდა ჰქონდეს, მაგრამ უკანახაზელები რატომღაც ხშირად ავიწყდებათ. რობერტო კარლოსს ახლა მხოლოდ ალესანდრო ნესტა თუ გაუტოლდება სტაბილურობით.

**— ამბობენ, ახალი პელე ყმაწვილი რობინიოაო...**

— პელეს მემკვიდრეობა ძნელია, რადგან ამისთვის ჯერ, სულ ცოტა, ათასი გოლი მაინც უნდა გაიტანო და სამჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გახდე. პელეს მემკვიდრეზე კი მერე ვილაპარაკოთ.



# ზამთრის ევროპული ტრანსფერები

## გერმანია

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| კეისი კელერი | ტოტენჰემი (ინგლისი) | მიონხენგლადბახი |
| ჯეიმი პეტერსი | კაიზერსლაუტერნი | იფსვიჩი (ინგლისი) |
| რობერტუ პინტუ | ჰერტა | არმინია |
| პეკა ლაგერბლომი | ვერდერი | ნიურნბერგი |
| ტობიას რაუ | ბაიერნი | ნიურნბერგი |
| უესლი სონკი | აიაქსი (ჰოლანდია) | მიონხენგლადბახი |
| პეტერ სკოვ-იენსენი | მიდტიულანდი (დანია) | ბოხუმი |
| სამუელ კუჯუ | ტიროლი (ავსტრია) | ფრაიბურგი |
| ოთარ ხიზანეიშვილი | დინამო (რუსეთი) | ფრაიბურგი |
| ფათიჰ აკიელი | ფენერბაჰჩე (თურქეთი) | ბოხუმი |
| ბიქსენტ ლიზარაზუ | მარსელი (საფრანგეთი) | ბაიერნი |
| ენრიკო გაედე | მიონხენგლადბახი | ესენი |
| ბერნარდო რომეო | ჰამბურგი | მალიორკა (ესპანეთი) |
| მოჰამედ ზიდანი | მიდტიულანდი (დანია) | ვერდერი |
| კრეიგ მური | რეინჯერსი (შოტლანდია) | მიონხენგლადბახი |
| ანდრეას იბერტსბერგერი | ზალცბურგი (ავსტრია) | ფრაიბურგი |
| ჰანო ბალიტჩი | ლევერკუზენი | მაინცი |
| მიხაელ ტიურკი | ლევერკუზენი | მაინცი |
| პიოტრ ტროხოვსკი | ბაიერნი | ჰამბურგი |
| იურგენ მახო | რაპიდი (ავსტრია) | კაიზერსლაუტერნი |
| ბერნდ ტიისი | ტრაბზონი (თურქეთი) | მიონხენგლადბახი |
| მიმუნ აზაუაგი | მაინცი | შალკე |
| დიეგო ლეონი | ბოხუმი | არმინია |
| მოარამ ნავიდკია | არმინია | ბოხუმი |
| ლანდონ დონოვანი | ვაშინგტონი (აშშ) | ლევერკუზენი |
| იორგ ბიომე | შალკე | მიონხენგლადბახი |
| ემანუელ სენტურიონი | შტუტგარტი | ველესი (არგენტინა) |
| შტეფან კლინგი | ჰამბურგი | ზაარბრიუკენი |
| კრისტიან ტიმი | კაიზერსლაუტერნი | ფიურტი |
| რადოსლავ კალუჟნი | ლევერკუზენი | ესენი |
| თომას დრეშერი | კაიზერსლაუტერნი | ბურგჰაუზენი |
| იან შლაუდრაფი | მიონხენგლადბახი | ალემანია |
| ანგელოს ხარისტიასი | ვერდერი | აიაქსი (ჰოლანდია) |
| ვლადიმირ ივიჩი | მიონხენგლადბახი | აეკ (საბერძნეთი) |
| ოსკარ აჰუმადა | ვოლფსბურგი | რივერ პლეიტი (არგენტინა) |
| შტეფან მალცი | კაიზერსლაუტერნი | ფიურტი |
| ტედი ლუკიჩი | ლევერკუზენი | ჰეკენი (შვედეთი) |
| კლინტ მატისი | ჰანოვერი | მიონხენგლადბახი |

## ესპანეთი

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| თომას გრავესენი | ევერტონი (ინგლისი) | რეალი |
| ხავიერ პორტილიო | ფიორენტინა (იტალია) | რეალი |
| გარბა ლავალი | ალბასეტე | ხერესი |
| სანტი დენია | ატლეტიკო | ალბასეტე |
| ტონი ლუკე | მალაგა | სიუდად მურსია |
| გუსტავო ვალერა | სევილია | მურსია |
| ფერნანდო ტორადო | სევილია | რასინგი |
| მარკ იულიანო | იუვენტუსი (იტალია) | მალიორკა |
| ფერნანდო მორიენტესი | რეალი | ლივერპული (ინგლისი) |
| დიეგო სიმეონე | ატლეტიკო | რასინგი (არგენტინა) |
| იესპერ გრონკიაერი | ბირმინგემი (ინგლისი) | ატლეტიკო |
| ლუჩანო ფიგეროა | კრუზ ასული (მექსიკა) | ვილიარეალი |
| ხუან პაბლო სორინი | კრუზეირო (ბრაზილია) | ვილიარეალი |
| მაურისიო პელეგრინო | ვალენსია | ლივერპული (ინგლისი) |
| ნიკო ოლივერა | დეფენსორი (ურუგვაი) | ალბასეტე |
| ხოსე ლუისმი | ალბასეტე | მურსია |
| ლუის ანგულო | ბილბაო | ხიმნასტიკი |
| დანიელ ტარანტინო | ბილბაო | ნუმანსია |
| სერხიო არაგონესესი | ატლეტიკო | ხეტაფე |
| მიგელ ხაკობო | ატლეტიკო | პოლი ეხიდო |
| ხოსე ისმაელი | ბეტისი | ელჩე |
| კარლოს ჩანგი | დეპორტივო | პონტევედრა |
| მარკ ბერტრანი | ესპანიოლი | კორდობა |
| ანტონიო სერვულო | ლევანტე | კორდობა |
| კარლოს მიჩელი | მურსია | მალაგა |
| გონსალო დე ლოს სანტოსი | ვალენსია | მალიორკა |
| იოშიტო ოკუბო | შიმიცუ (იაპონია) | მალიორკა |
| ბერნარდო რომეო | ჰამბურგი (გერმანია) | მალიორკა |
| პატრიკ მიულერი | მალიორკა | ციურიხი (შვეიცარია) |
| პულპო გონსალესი | კორდობა | ნუმანსია |
| რაფაელ ხორდა | პერალტა | ნუმანსია |
| რაულ მარტინი | ეიბარი | რასინგი |
| კრისტიან ალვარესი | რასინგი | კორდობა |
| კარლოს ამაია | ხეტაფე | სიუდად მურსია |
| კარლოს ხავიერ ჩავი | ამურიო | რასინგი |
| გონსალო ტრევი | რასინგი | ამურიო |
| დანი გონსალესი | სევილია | მურსია |
| ლუის მეა ვიტალი | ხეტაფე | ? |
| კოსტას კიასოსი | ნუმანსია | ? |
| იბრაჰიმ ბაკაიოკო | ოსასუნა | ? |

## იტალია

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| ფრანჩესკო კოცა | ჯენოა | სიენა |
| ხავიერ პორტილიო | ფიორენტინა | რეალი (ესპანეთი) |
| სეზარ გონსალესი | კიევო | კატანია |
| ადრიან მუტუ | უგუნდოდ | იუვენტუსი |
| ჯოვანი პასკუალე | ინტერი | სიენა |
| პაოლო დელაფიორე | ინტერი | სპეცია |
| ანჟელო დე ალმეიდა | კრისიუმა (ბრაზილია) | ლეჩე |
| ივანო რობერტი | ლაციო | კატანძარო |
| მარკ იულიანო | იუვენტუსი | მალიორკა (ესპანეთი) |
| სიმონე ინძაგი | ლაციო | სამპდორია |
| ფაბიო ბაცანი | სამპდორია | ლაციო |
| მასიმო მაკარონე | მიდლსბრო (ინგლისი) | სიენა |
| ლამბროს ხუტოსი | ინტერი | ატალანტა |
| მატიას ალმეიდა | ბრეშა | ვესტ ბრომვიჩი (ინგლისი) |
| მატია გრაფიედი | სიენა | მოდენა |
| ვლადო შმიტი | ბოლონია | პესკარა |
| გუსტავო ლაზარეტი | ბოტაფოგო (ბრაზილია) | უდინეზე |
| სიმონე ერამო | მესინა | ტარანტო |
| ხულიო სეზარ ლეონი | კატანძარო | რეჯინა |
| ჯოვანი მორაბიტო | რეჯინა | კატანძარო |
| დავიდე დიონიჯი | რეჯინა | ბარი |
| ჯორდანო პაგანოტო | ჩეზენა | ბრეშა |
| ალბერტო არამუ | ნაპოლი | კალიარი |
| ანდრეა ალბერტი | ჩეზენა | ბრეშა |
| ლუკა საუდატი | ატალანტა | ემპოლი |
| კუო არნო | ლე მანი (საფრანგეთი) | ლეჩე |
| რიკარდო ალეგრეტი | კიევო | ვენეცია |
| დავიდე სუჩი | კიევო | ლუკეზე |
| ჯანი კომანდინი | ატალანტა | ტერნანა |
| რაფაელე ამეტრანო | მესინა | აველინო |
| ჯულიო მილაჩიო | ტერნანა | ატალანტა |
| მირკო კონტე | მესინა | არეცო |
| დავიდე სინიგალია | არეცო | ატალანტა |
| კარმინე გაუტიერი | ატალანტა | ნაპოლი |
| დავიდე ინაჩიო პია | ატალანტა | ნაპოლი |
| სიმონე დანიელო | ბოლონია | გარფანანა |
| მარიო ფონტანა | ფიორენტინა | ნაპოლი |
| პანაიოტის გონიასი | მესინა | კროტონე |
| სანტოს როდრიგო | კორინთიანსი (ბრაზილია) | რეჯინა |
| რობერტო ტისონე | კომო | უდინეზე |

## ინგლისი

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| ნაიჯელ ქვოში | პორტსმუთი | საუთჰემპტონი |
| კეისი კელერი | ტოტენჰემი | მიონხენგლადბახი (გერმანია) |
| თომას გრავესენი | ევერტონი | რეალი (ესპანეთი) |
| საიმონ როისი | ჩარლტონი | ქუინზ პარკი |
| ფერნანდო მორიენტესი | რეალი (ესპანეთი) | ლივერპული |
| ენდრიუ დევისი | მიდლსბრო | ქუინზ პარკი |
| მასიმო მაკარონე | მიდლსბრო | სიენა (იტალია) |
| იესპერ გრონკიაერი | ბირმინგემი | ატლეტიკო (ესპანეთი) |
| ირჟი იაროშიკი | ცსკა (რუსეთი) | ჩელსი |
| კევინ კემპბელი | ევერტონი | ვესტ ბრომვიჩი |
| ჯეიმს ბიტი | საუთჰემპტონი | ევერტონი |
| მატიას ალმეიდა | ბრეშა (იტალია) | ვესტ ბრომვიჩი |
| დინ ეშტონი | ქრიუ | ნორვიჩი |
| ალან ბლეინი | საუთჰემპტონი | რაშდენი |
| რობერტ ბარჩი | ტოტენჰემი | სტივენეიჯი |
| ემანუელ ებუ | ბევერენი (ბელგია) | არსენალი |
| იან ფოლი | საუთჰემპტონი | ნოტინგემი |
| რაიან ნელსენი | ვაშინგტონი (აშშ) | ბლექბერნი |
| ლეს ფერდინანდი | ბოლტონი | რედინგი |
| რობი ბლეიქი | ბარნლი | ბირმინგემი |
| მაურისიო პელეგრინო | ვალენსია (ესპანეთი) | ლივერპული |
| ჯეიმი რედნაპი | ტოტენჰემი | საუთჰემპტონი |
| აარონ მოკოენა | გენკი (ბელგია) | ბლექბერნი |
| ემილ ჰალფრედსონი | ჰაფნარფიორდური (ისლანდია) | ტოტენჰემი |
| დევიდ ლიმბერსკი | პლზენი (ჩეხეთი) | ტოტენჰემი |
| კალუმ დევენპორტი | ტოტენჰემი | საუთჰემპტონი |
| სელესტინ ბაბაიარო | ჩელსი | ნიუკასლი |
| ჟან-ალენ ბუმსონგი | რეინჯერსი (შოტლანდია) | ნიუკასლი |
| ნჯაზი კუქი | ლაჰტი (ფინეთი) | ბირმინგემი |

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. კონფერენსი

**18 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 47 | ფარნბორო-ალდერშოტი | 2.45 | 3.2 | 2.5 | 1.38 | 1.23 | 1.4 |

### იტალია. სერია A

**19 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 296 | მესინა-ატალანტა | 1.75 | 3.1 | 5.0 | 1.11 | 1.29 | 1.91 |

### ბელგია. II დივიზიონი

**19 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 191 | პატრო-რონსე | 2.45 | 3.2 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |

### ინგლისი. თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 252 | ბლეკპული-ლესტერი | 3.0 | 3.2 | 2.1 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 22:45 | 253 | ბარნსლი-ლივერპული | 5.7 | 3.5 | 1.5 | 2.16 | 1.18 | 1.04 |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 250 | ექსეტერი-მანჩესტერი | 12.0 | 6.5 | 1.1 | 4.21 | 1.0 | 1.0 |
| 22:45 | 254 | ბოსტონი-ჰარტლპული | 2.7 | 3.2 | 2.3 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 22:45 | 255 | ფულემი-უოტფორდი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| 23:00 | 256 | ბლექბერნი-კარდიფი | 1.4 | 3.7 | 7.5 | 1.01 | 1.17 | 2.47 |

### შოტლანდია. თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 257 | როსი-ერდრი | 2.5 | 3.5 | 2.3 | 1.45 | 1.19 | 1.38 |
| 22:30 | 258 | სტრანრარი-ეარი | 1.7 | 3.6 | 3.9 | 1.15 | 1.18 | 1.87 |
| 22:45 | 259 | დანფერმლაინი-ისტ ფაიფი | 1.15 | 6.5 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.93 |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 260 | პართსი-პარტიკი | 1.2 | 5.3 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.33 |

### ესპანეთი. თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 263 | სევილია-უელვა | 1.35 | 3.8 | 8.5 | 1.0 | 1.16 | 2.62 |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 261 | ხეტაფე-ოსასუნა | 2.3 | 3.1 | 2.8 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 22:30 | 262 | ნუმანსია-ელჩე | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 23:30 | 264 | რეალი-ვალიადოლიდი | 1.2 | 5.8 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.52 |

### საფრანგეთი. თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 267 | ლანსი-სტ.ეტიენი | 2.1 | 2.8 | 3.55 | 1.2 | 1.31 | 1.56 |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 265 | ოსერი-კაენი | 1.5 | 3.5 | 6.2 | 1.04 | 1.2 | 2.23 |
| 23:00 | 266 | სტრასბური-კლერმონი | 1.5 | 3.5 | 6.2 | 1.04 | 1.2 | 2.23 |
| 23:00 | 268 | მონპელიე-მონაკო | 3.8 | 2.9 | 2.0 | 1.64 | 1.31 | 1.18 |

### ბელგია. თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 22:30 | 272 | გენკი-ანდერლეხტი | 2.7 | 3.3 | 2.25 | 1.48 | 1.22 | 1.33 |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 269 | ლუვიე-ბევერენი | 1.75 | 3.4 | 3.9 | 1.15 | 1.2 | 1.81 |
| 22:00 | 270 | ლოკერენი-სტ.ტრუიდენი | 1.6 | 3.6 | 4.6 | 1.1 | 1.18 | 2.01 |
| 22:00 | 271 | სტანდარდი-შარლერუა | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 22:00 | 273 | მონსი-ბეერსხოტი | 2.35 | 3.4 | 2.5 | 1.38 | 1.21 | 1.44 |
| 22:30 | 274 | ეუპენი-ლიერსი | 4.2 | 3.5 | 1.7 | 1.9 | 1.21 | 1.14 |
| 22:00 | 275 | მუსკრონი-გენტი | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |

### ჰოკეი

### შვედეთი

**18 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 302 | ფრიოლუნდა-ლულეო | 1.4 | 4.6 | 4.3 | 1.07 | 1.05 | 2.22 |
| 21:00 | 303 | სიოდერტელიე-ტიმრე | 2.2 | 4.3 | 2.1 | 1.45 | 1.07 | 1.41 |
| 21:00 | 304 | ჰვ 71-იურგორდენი | 1.95 | 4.4 | 2.3 | 1.35 | 1.05 | 1.51 |

### ჰოკეი. ფინეთი

**18 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 320 | ესპოო-ტაპარა | 1.95 | 4.2 | 2.4 | 1.33 | 1.07 | 1.52 |
| 19:30 | 321 | ილვესი-ტურკუ | 2.15 | 4.1 | 2.25 | 1.41 | 1.09 | 1.45 |
| 19:30 | 322 | იოკერიტი-სეიპა | 1.15 | 4.8 | 6.0 | 1.0 | 1.0 | 2.66 |
| 19:30 | 323 | იუვესკიულე-პელიკანსი | 1.3 | 4.9 | 5.25 | 1.02 | 1.04 | 2.53 |

### ჰოკეი. ჩეხეთი

**18 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 335 | ლიტვინოვი-პლზენი | 1.9 | 4.3 | 2.5 | 1.31 | 1.07 | 1.58 |
| 19:00 | 336 | კლადნო-ვიტკოვიცე | 1.8 | 4.3 | 2.6 | 1.26 | 1.06 | 1.62 |
| 19:00 | 337 | ტრჟინეცი-კარლოვი ვარი | 2.05 | 4.2 | 2.3 | 1.37 | 1.08 | 1.48 |
| 19:00 | 338 | ზლინი-პარდუბიცე | 1.95 | 4.4 | 2.35 | 1.35 | 1.06 | 1.53 |
| 19:30 | 339 | ზნოიმო-ვსეტინი | 1.6 | 4.4 | 3.5 | 1.17 | 1.09 | 1.94 |
| 20:00 | 340 | ლიბერეცი-სპარტა | 2.2 | 4.2 | 2.15 | 1.44 | 1.08 | 1.42 |
| 21:00 | 341 | სლავია-დუკლა | 1.15 | 5.3 | 6.4 | 1.0 | 1.0 | 2.89 |

### ჰოკეი. სლოვაკეთი

**18 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 349 | სკალიცა-პოპრადი | 2.1 | 4.1 | 2.25 | 1.38 | 1.08 | 1.45 |
| 19:00 | 350 | ზვოლენი-ჟილინა | 1.35 | 4.6 | 5.0 | 1.04 | 1.06 | 2.39 |
| 19:00 | 351 | დუბნიცა-ნიტრა | 4.5 | 4.4 | 1.4 | 2.22 | 1.06 | 1.06 |
| 19:00 | 352 | მიკულაში-ტრენჩინი | 2.35 | 4.1 | 2.0 | 1.49 | 1.08 | 1.34 |
| 19:30 | 353 | სლოვანი-კოშიცე | 1.6 | 4.3 | 3.25 | 1.16 | 1.07 | 1.85 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### ჰოკეი. გერმანია

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **20 იანვარი** | | | | | | | | |
| 21:30 | 359 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1.45 | 4.4 | 4.2 | 1.09 | 1.07 | 2.14 |
| **21 იანვარი** | | | | | | | | |
| 21:30 | 360 | კრეფელდი-ინგოლშტადი | 2.25 | 4.2 | 2.15 | 1.46 | 1.09 | 1.42 |
| 21:30 | 361 | მანჰაიმი-კიოლნი | 2.1 | 4.3 | 2.3 | 1.41 | 1.09 | 1.49 |
| 21:30 | 362 | ნიურნბერგი-ფრანკფურტი | 1.85 | 4.4 | 2.55 | 1.3 | 1.07 | 1.61 |
| 21:30 | 363 | აუგსბურგი-ვოლფსბურგი | 1.85 | 4.3 | 2.55 | 1.29 | 1.07 | 1.6 |
| 21:30 | 364 | დიუსელდორფი-კასელი | 1.6 | 4.3 | 3.2 | 1.16 | 1.06 | 1.83 |
| 21:30 | 365 | აისბარენი-იზერლონი | 1.35 | 4.5 | 4.4 | 1.03 | 1.03 | 2.22 |

### ჰოკეი. რუსეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **18 იანვარი** | | | | | | | | |
| 13:00 | 384 | აკ ბარსი-ლადა | 1.6 | 4.4 | 3.2 | 1.17 | 1.06 | 1.85 |
| 13:00 | 385 | ცსკა-მაგნიტოგორსკი | 2.3 | 4.2 | 2.0 | 1.48 | 1.06 | 1.35 |
| 13:00 | 386 | ნოვოკუზნეცკი-ლოკომოტივი | 2.1 | 4.2 | 2.3 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 13:00 | 387 | მოლოტი-დინამო | 7.0 | 6.0 | 1.1 | 3.23 | 1.0 | 1.0 |
| 13:00 | 388 | ნეფტეხიმიკი-ს.იულაევი | 1.35 | 4.4 | 4.3 | 1.03 | 1.02 | 2.17 |
| 13:00 | 389 | სევერსტალი-ხიმიკი | 1.7 | 4.5 | 2.8 | 1.23 | 1.05 | 1.72 |
| 13:00 | 390 | სიბირი-სპარტაკი | 1.55 | 4.4 | 3.4 | 1.14 | 1.06 | 1.91 |
| 13:00 | 391 | აკს-ავანგარდი | 2.95 | 4.5 | 1.65 | 1.78 | 1.05 | 1.2 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი
TELCREDITI

10
42 00 24


## კროკოს ბიუროთა მისამართები

CROCO BOOKMAKERS კროკო

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

## საქართველოს თასის III გათამაშება ჯგუფური ეტაპი. რუსთავი. 16–18 იანვარი

# რუსთავმა თავისი გვაჩვენა

## თუჯის ქვაბიდან ორთქლმა ამოხეთქა



რუსთაველმა არჩილ ყლენტმა თსუ-ს 18 ქულა ჩაუგდო

**მეორე ტური 17 იანვარი**

**თბილავიამშენი 97:92 სტუ**

18:25 34:27 17:22 28:18

**თბილავიამშენი:** თორთლაძე (6), ნიკოლაძე (34), ხოშტარია (8), ორმოცაძე (5), ბერძენიშვილი (15), წოწელია (14), ნინიაშვილი (9), აბრამიძე (4), ნოზაძე (2)

**სტუ:** ბერიშვილი (10), გოგობერიშვილი (6), მარკოიშვილი (15), კეიდია (11), ჯაფარიძე (21); მათიაშვილი (14), მიქაძე (4), გაგნიძე (6), შანიძე (5)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**თუჯი 81:89 თსუ**

22:24 23:17 11:24 25:24

**თუჯი:** არწივიძე (6), ლიპარტელიანი (4), ჭოჭუა (3), მურჯიანელი (20), დანელიანი (9); ყლენტი (18), ტყეშელაშვილი (11), ჩაჩუა (10), გოგსაძე

**თსუ:** მარხვაშვილი (10), ვეფხვაძე (17), მაისურაძე (19), ფანჩულიძე (11), კოკოლიშვილი (20); ხიზანიშვილი (8), ლომიძე (2), ბერაია (2), გაფრინდაშვილი

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**ირაკლი პერტაია** რუსთავიდან

რუსთაველები ალბათ [illegible] [illegible] მსაჯებთან დავა-კამათსა და გაწევ-გამოწევას. ქვემოქართლელები ოდითგანვე გამოირჩეოდნენ ტემპერამენტით და ამისთვის ისინი არაერთხელ მწარედაც დაისაჯნენ. ბოლო დროს, როცა ფედერაციამ თითოეულ ხელის აწევაზე სოლიდური ფულადი ჯარიმები დააწესა, თითქოს დაწყნარდნენ, თუმცა ამჯამად მათ ქალაქში მიმდინარე თასის გათამაშებისას ნერვები ვეღარ მოითოკეს და თავდასხმის ობიექტი ქალი რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, რა მუშტი-კრივი ატყდებოდა ქიმიკოსთა დარბაზში

რუსთაველები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს ხვდებოდნენ. მეტ-ნაკლებად თანაბარი მატჩის მესამე მეოთხედი სრულდებოდა, როცა მსაჯმა მაკა კუპატაძემ მასპინძელ დავით არწივიძეზე გარბენი დააფიქსირა. ამ ეპიზოდამდეც ალმაცერად უყურებდნენ რუსთაველები არბიტრებს, რაკი თვლიდნენ, რომ ისინი თბილისელებს ემხრობოდნენ და როცა ხსენებულმა ეპიზოდმა მოატანა, ქვემოქართლელთა მწვრთნელი ოთარ ხმელიძე გაცეცხლებული მივარდა კუპატაძეს. მსაჯმა დაითმო კი არა, იქით ჰკრა მასპინძელთა თავკაცს ხელი და ტექნიკური გამოუწერა.

ეს ინციდენტი მესამე მეოთხედის საფინალო სირენამდე 9 წამით ადრე მოხდა და ვინ იფიქრებდა, ამ მოკლე დროში ამაზე დიდი ამბავი თუ დატრიალდებოდა.

რაც მართალია, მართალია, ხელი არ აწეულა, რაკი, ჯერ ერთი, გამშველებლებმა იყოჩაღეს. მეორეც, რუსთაველთა აგრესიის ობიექტი ქალი გახლდათ და ძნელად საფიქრებელია, რომ მასპინძლები მას არ დაინდობდნენ.

...ბურთი თამაშში რუსთაველებმა შეიტანეს და ისევ არწივიძეს მიაწოდეს, რომელიც მოედნის კიდეზე სტუდენტებმა შეავიწროვეს და ამანაც ხუთი წამის განმავლობაში ბურთი რომ არ გაათამაშა, მსაჯისგან დამსახურებულად ჩამოერთვა მისი ფლობის უფლება. რაო, ისევ უსამართლოდ გვექცევიო და, რუსთაველები მსაჯს გამოენთნენ, მაგრამ ვინ დააცალა. თამაში შეწყდა და ბრაზმორეული ხალხის დაშოშმინებას კარგა ხანი დასჭირდა.

კუპატაძემ აუღელვებლად მისცა დისკვალიფიკაცია რუსთაველთა მწვრთნელს, რომელმაც გუნდი იძულებით მიატოვა და ტრიბუნაზე აინაცვლა. სწორედ ეს მომენტი გამოდგა მატჩის გარდამტეხი, რადგან თსუ-ელებმა რუსთაველთა თავშეუკავებლობის გამო ნაფეშქაშარი ყველა საჯარიმო ჩააგდეს და ბოლო შესვენებაზე ცხრაქულიანი ჰანდიკაპით გავიდნენ.

მანამდე კი ბრძოლას თანაბარი ეთქმოდა. ეს გუნდები ისედაც თითქმის ერთი კალიბრისანი არიან და გუშინ თანაქალაქელთა მხარდაჭერით შეგულიანებულმა რუსთაველებმა თსუ-ს გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს.

პირველ მეოთხედში თსუ უკანახაზელთა სწრაფი გარღვევებით საზრდოობდა და დამაჯერებელ უპირატესობასაც მიაღწია — 19:13, თუმცა მერე მოედანზე არჩილ ყლენტი შევიდა, რომელმაც გონივრული ქულა-პასებით რუსთაველები მეტოქეს წამოაწია და როცა თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი, მეორე მეოთხედში დაწინაურდნენ კიდეც.

თამაში რომ გათანაბრდა, სამქულიანების ლაწალუწი ატყდა. ორივე მხარე წარმატებით ისროდა — თბილისელთაგან მაისურაძე, კოკოლიშვილი და ვეფხვაძე, რუსთაველთაგან კი ტყეშელაშვილი, ჩაჩუა და, რა თქმა უნდა, არჩილ ყლენტი.

ამ თამაშის ტაქტიკაც ეს გახლდათ: ვინ უფრო ზუსტი იქნებოდა პერიმეტრიდან, თორემ არც „თუჯს" და არც თსუ-ს გამოკვეთილი ცენტრები არ ჰყავთ, ფარქვეშ და მის მიდამოებში სტრატეგიული მანევრირება რომ მოეწყოთ.

ჰოდა, იმ ეპიზოდსაც მივადექით, რითაც დავიწყეთ — სტუდენტებმა თვალშისაცემი ლიდერობა მოიპოვეს გადამწყვეტი მეოთხედის წინ. უმწვრთნელოდ, უფრო სწორად, სათადარიგო მწვრთნელის ამარა დარჩენილმა რუსთაველებმა თავიდან ცოტა კი შეუტიეს სტუმრებს, მაგრამ ათქულიანი ჩამორჩენის გასაბათილებლად ძალა აღარ ეყოთ. ასე რომ, არცთუ ფავორიტ თსუ-ს ორიდან ორი გამარჯვება მოუგროვდა, ხოლო რუსთაველები მოლოდინისამებრ ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდნენ.

სიმართლე რომ ვთქვათ, თასის გათამაშებას ცხრილს პირობითად თუ შევუდგენთ, რადგან, მოგეხსენებათ, ამ ეტაპიდან ყველა გუნდი ნახევარფინალში გადის. გუნდების ერთადერთი დაინტერესება ალბათ ისაა, რომ პირველი ადგილი დაიკავონ და ნახევარფინალში მეტოქედ რუსთაველთა შედარებით სუსტი გუნდი შეიგულონ.

ერთ-ერთი, რომელიც ამას შეეცდება, ლევან მოსეშვილის „ავიამშენია", რომელმაც გუშინ დაძაბულ ბრძოლაში „სტუ-ჯეოსელი" დაამარცხა და თსუ-ს მსგავსად ორიდან ორი გამარჯვება დაუგროვდა.

ავიატორთა და ტექნიკოსთა გუშინდელი მატჩი სანახაობრივად ნაკლებად გამოირჩეოდა, მაგრამ დაძაბულობა აკლდაო, ნამდვილად ვერ ვიტყვით. ეს იყო ისეთი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე თამაში, რომ ძნელი და ცოტა მოსაბეზრებელიცაა, ზედმიწევნით აღვწეროთ ლიდერთა ცვალებადობა.

მოკლედ თუ ვიტყვით, ჯერ სტუმ მოიპოვა სოლიდური უპირატესობა, მერე „თბილავიამშენმა" და როცა ეს ლიდერობის „კარუსელი" ორჯერაც დატრიალდა, მოსეშვილის გუნდმა უკანასკნელ წუთებზე საბოლოოდ მოიხელთა 3-4 ქულიანი ფორა.

თუმცა ისიცაა სათქმელი, რა გზითა და ხერხებით ახერხებდნენ ეს გუნდები ქულების გროვებას. ამ საქმეში უფრო მრავალფეროვნებას ტექნიკოსები მიმართავდნენ, რომლებიც სწრაფი გარღვევებით ხომ იხვეჭდნენ ქულებს და შიგადაშიგ არც სამიანები ავიწყდებოდათ და არც ცენტრზე თამაში.

ირაკლი ჯაფარიძემ და მოგვიანებით თამაშში ჩართულმა რიჩარდ მათიაშვილმა ფარქვეშ უამრავი პრობლემა შეუქმნეს ავიატორებს. შეიძლება ითქვას, მათ აშკარად დაჯაბნეს ბერძენიშვილ-ნინიაშვილის ტანდემი, თუმცა მხოლოდ ფარქვეშა უპირატესობა რომ არაა საკმარისი წარმატების მისაღწევად, ერთხელაც გამოჩნდა.

ავიატორთა უკანახაზელები, გამორჩეულად კი გიორგი ნიკოლაძე არაფრით ეპუებოდნენ ტექნიკოს ოპონენტებს და საბოლოოდ „ავიამშენმა" რომ გაიმარჯვა, მათი დამსახურებაა. გიორგი ნიკოლაძე ფაქტობრივად შეუჩერებელი იყო, როცა სისწრაფეს აკრეფდა. იგი მიჯრით ახორციელებდა სწრაფ გარღვევებს და „ავიამშენს" მეტად ავბედით ეპიზოდებში ეხმარებოდა. ბოლო მეოთხედში კი მან ისეთი სამქულიანები ჩააგდო, ერთიც რომ აეცდინა, ეგებ საბედისწერო გამომდგარიყო მისი გუნდისთვის, მაგრამ შურდულივით სწრაფ გამთამაშებელს არც მიზანმა უღალატა.

ბოლო მეოთხედში ნიკოლაძე შეუდარებელი იყო, თუმცა გადამწყვეტი საქმე მაინც გამოცდილმა დავით თორთლაძემ მოაკვარახჭინა. მან ჯერ სირენამდე წუთნახევრით ადრე უმნიშვნელოვანესი სამიანით 92:90 დააწინაურა „ავიამშენი", ხოლო რამდენიმე წამის შემდეგ ჩაჭრაც გაახერხა და ბერძენიშვილს საორქულედ უპასა. ეს იყო და მოსეშვილის გუნდმა გამარჯვება იზეიმა, ხოლო დღეს პირველი ეტაპის პირველ ადგილზე დასასრულებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეებრძოლება.



„სტუ-ჯეოსელთან" „თბილავიამშენს" გიორგი ნიკოლაძემ ულიდერა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

16 იანვარი

**სიეტლი 105:97 კლივლენდი**

**სიეტლი:** ალენი (27), რადმანოვიჩი (23 ქულა, 11 მოხსნა), რიდნორი (18)

**კლივლენდი:** ჯეიმსი (35 ქულა, 11 პასი, 5 მოხსნა, 4 ჩაჭრა), გუდენი (27)

**ტორონტო 102:99 ნიუ ორლეანი**

**ტორონტო:** პიტერსონი (25), ბოში (24), როუზი (19)

**ნიუ ორლეანი:** ნეილონი (32), ანდერსენი (17), დევისი (15 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა)

# ავსტრალიის ღია პირველობა 2005

## მელბურნი. მაგარსაფარი

### პირველი წრე

#### კაცები

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:1, 6:1, 6:2; **მარატ საფინი** (4, რუსეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) 6:0, 6:2, 6:1; **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) — კარლოს მოია (5, ესპანეთი) 7:5, 6:3, 3:6, 6:3; **ანდრე აგასი** (8, აშშ) — დიტერ კინდლომანი (გერმანია) 6:4, 6:3, 6:0; **გასტონ გაუდიო** (10, არგენტინა) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 7:6 (7:3), 6:4, 6:3; **იოახიმ იოჰანსონი** (11, შვედეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 7:6 )8:6), 6:2, 6:3; **ტომი რობრედო** (13, ესპანეთი) — სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) 5:7, 6:2, 6:4, 6:2; **ტომი ჰაასი** (16, გერმანია) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3, 6:2, 6:3; **დომინიკ ჰრბატი** (20, სლოვაკეთი) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:4, 6:2, 1:0; *სოდერლინგმა შეწყვიტა*; **ოლივიე როხუსი** (ბელგია) — ნიკოლას კიფერი (21, გერმანია), 7:5, 2:6, 3:6, 6:2, 6:3; **ივან ლიუბიჩიჩი** (22, ხორვატია) — ლუის ორნა (პერუ) 6:4, 6:3, 6:3; **ფელისიანო ლოპესი** (24, ესპანეთი) — პოლ ბაკანელო (ავსტრალია) 7:5, 7:5, 6:2; **პარადორნ შრიჩაფანი** (27, ტაილანდი) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 1:6, 6:2, 7:5, 6:4; **მარიო ანჩიჩი** (28, ხორვატია) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:3, 6:2, 6:1; **ტაილორ დენტი** (29, აშშ) — ფლორან სერა (საფრანგეთი) 7:5, 6:2, 6:4; **თომას იოჰანსონი** (30, შვედეთი) — პიტერ ლუშაკი (ავსტრალია) 7:6 (7:5), 4:6, 6:3, 4:6, 6:0

#### ქალები

**ამელი მორესმო** (2, საფრანგეთი) — სამანტა სტოზერი (ავსტრალია) 6:2, 6:3; **მარია შარაპოვა** (4, რუსეთი) — სესილ კარატანჩევა (ბულგარეთი) 6:3, 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა** (5, რუსეთი) — ჯესიკა კირკლენდი (აშშ) 6:1, 6:1; **სერენა უილიამსი** (7, აშშ) — კამილო პენი (საფრანგეთი) 6:1, 6:1; **ვერა ზვონარიოვა** (9, რუსეთი) — ნან-ნან ლიოუ (ჩინეთი) 6:4, 6:2; **ნადია პეტროვა** (11, რუსეთი) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:1, 6:2; **სილვია ფარინა ელია** (15, იტალია) — იულია შრუფი (გერმანია) 6:3, 6:4; **მარტინა სუხა** (სლოვაკეთი) — აი სუგიამა (16, იაპონია) 7:5, 6:4; **ფაბიოლა სულუაგა** (17, კოლუმბია) — სელიმა სფარი (ტუნისი) 6:3, 7:5; **ემი ფრეზერი** (21, აშშ) — მარისა ირვინი (აშშ) 7:5, 6:1; **სტეფანი კოენ-ალორო** (საფრანგეთი) — მარი პირსი (24, საფრანგეთი) 6:2, 6:2



REUTERS მელბურნიდან

# მესიჯი სერენასგან

# თუ მოვინდომე, ვერვინ მომერევა

კაცთა ამქრის ოდინდელი პირველოსნის კარლოს მოიასა და ტურნირის 1995 წლის გამარჯვებული მარი პირსის გავარდნას თუ არ ჩავთვლით — და მათი ამჟამინდელი ისე-რა ფორმიდან გამომდინარე, ეს ამბავი ჩასათვლელი მართლაც არ არის — წლის პირველი სლემშეჯიბრის პირველმა დღემ ლიდერთა ბითუმი თარეშით ჩაიარა.

ხვადრიონის უსტაბაშმა როჯერ ფედერერმა, რომელმაც საარაკო შარშანდელი სეზონის შემდეგ ამ ახალსეზონის სტარტზევე შთამბეჭდავი ფორმის აკრეფა შეძლო, „როდ ლეივერ არენაზე" 94 წუთში გადაურბინა თავის მე-13 ავსტრალიობაზე მოჩოგნავე ფაბრის სანტოროს. შებერებული ფრანგი ნამატჩევს დასიცხულობა გადაღლილობასა და კუჭეულის უწესრიგობას უჩიოდა, მაგრამ გუშინ სულ საღი და სალამათი რომ ყოფილიყო, საეჭვოა, ამით მატჩზე რამე განსაკუთრებული ზეგავლენა მოეხდინა. 23 წლის შვეიცარიელმა კორტზე ხალისიანად ითარეშა, ჯამში 34 ქულიანი დარტყმა მოაქუჩა და მერე ისიც კი თქვა, ფაბრისთან ცოტა საბოლოდ კი მაქვს, ძალიან მომივიდაო. ისე კი კმაყოფილობდა — მართალია, დილიდან ვნერვიულობდი, მაგრამ თამაშით კი დასტურ ფანტასტიკურად ვითამაშეო, ამბობდა.

ბობოლათაგან ასევე სეტისწაუგებლად და ზედმეტი ოფლის გარეშე გაირჯნენ შარშანდელი და 2002 წლის ფინალისტი მარატ საფინი და ოთხგზის ჩემპიონი ანდრე აგასიც. ოყრაყმა რუსმა 74 წუთში შემუსრა 17 წლის სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი, რომელიც რეიტინგსიაში მასზე 184 ადგილით დაბლა დგას. 34 წლის არმენოამერიკელმა უფრო მეტი მოანდომა ასევე უწლოვან და უსახელო გერმანელ დიტერ კინდლმანთან ბურთაობას, მაგრამ დროსა და წაგებულ გეიმებზე მთავარი ისაა, რომ ამ შეხვედრაში აგასი ერთხელაც არ შეუწუხებია გასულ შაბათს კუიონგობაზე ნატკენ ბარძაყს. შეგახსენებთ, რომ ტრავმა ბებერმა ჩემპიონმა ტიმ ჰენმანთან სალაღობო ბუქნაობისას მიიღო და ერთი პირობა, ერთგული ქომაგობა დააფრთხო და ჩვენც და ავსტრალიის ღია პირველობის 1995, 2000, 2001 და 2003 წლების გამარჯვებული თავის მეხუთე ტიტულზე ნადირობას კვლავაც მისთვის ჩვეული დახვეწილობითა და სიბრძნით განაგრძობს.

ახლა კი ორიოდ სიტყვა კარლოს მოიაზე. ალბათ თქვენც გეხსომებათ, რომ ამ ნატიფმა მალიორკელმა გადამწყვეტი როლი შეასრულა შარშანდელი დევისობის ფინალში, სადაც ესპანელებმა უწინარესად სწორედ მისი შთამბეჭდავი გარჯის წყალობით სძლიეს ამერიკელებს. ურიგოდ ის არც ავსტრალიის ღია პირველობაზე გამოდიოდა და 1997 წელს სულაც ფინალსაც კი უწია. როგორც ამქრის მეხუთეადგილოსანს, მას წლევანდელი ღია პირველობის უმთავრეს თუ არა, მეორე რიგის ფავორიტადაც მიიჩნევდნენ, მაგრამ ყველაფერი უეცრად და მოულოდნელად დასრულდა. „დიდი არმადის" 28 წლის ყოჩმა შვიდი წლით უმცროს თვისტომთან, თავის ოდენ მესამე სლემმატჩში მოთამაშე გილერმო გარსია-ლოპესთან დათმო. არადა, მატჩის მსვლელობისას მოიას მაინცდამაინც წასაგები პირი არ უჩანდა, მაგრამ ძალიან ბევრჯერ, 49-ჯერ უნებლიედ მიჰქარა და ვერც 16 ბრეიკპოინტის გამოყენება შეძლო. „სანამ აქ ჩამოვიდოდი, ხოშიანად ვთამაშობდი, დღეს კი რატომღაც მაგრად ჩავიჭედე" — იძახდა ნამატჩევს მოია, რომელმაც ვინგინდავინ ესპანელთან უკანასკნელად 2003 წლის ოქტომბერში წააგო. გარსია-ლოპესი კი, ცხადია, ხალისობდა და ეს ჩემი ცხოვრების უდიდესი გამარჯვებაო, აი, ეგრე, იძახდა.

რაც შეეხება მდედრობითს, აქ გამოსარჩევი ზეთამეულულით დაძილგუნველი ჩოგნობა იყო. თავისი ჭყეტელა სამოსით კვლავ მიიქცია საყოველთაო ყურადღება ტურნირის 2003 წლის ჩემპიონმა და ბუკმეკერთა ფავორიტმა სერენა უილიამსმა. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მწვანე მაისურითა და თეთრ-მწვანე ჩექმა-ქალამნებით გამოწყობილმა სერენამ — ხამუშ-ხამუშ მოუქნელობა იქით იყოს — ჩოგნითაც საყურადღებოდ აჩვენა და ამ ბოლო დროს შეთამამებულ მეტოქეებსაც სერიოზული მესიჯი გაუგზავნა, ყბაოდა, საქმე ეგრეც არ არის, მისგანა რომ ამბობს, მაგათი (ე.ი. უილიამსების) უკვე აღარავის ეშინიაო. „მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, თუკი საუცხოო ფორმას ავკრეფ, ჩემი დამარცხება შეუძლებელია" — ბაქი-ბუქობდა მერე ვენუსის უმცროსი დაიკო და, ვინძლო, ძალიანაც არ სცდებოდა.

სხვაფრივ — არანაკლებ ლიდერად ბეგვეს თავიანთი მეტოქეები მარია შარაპოვამა და სვეტლანა კუზნეცოვამ და მათ მერე სხვა რუსი გოგონებიც მიყვნენ. თუმცა აღმაფრენილ რუსულ განწყობაში ბელგიის სპორტის მინისტრმა კლოდ ეროდუენმა ჩაამასხა. ამ გადამთიელმა და ავსტრალიის ღია პირველობასთან არაფრით დაკავშირებულმა ჩინოსანმა სწორედ გუშინ განაცხადა, რომ დეკემბერში, შარლეროაში რომ ოთხქალა საჩვენებელი ტურნირი გაიმართა, ოთხიდან ერთ გოგოს აქ სისხლში დოპინგი აღმოუჩინეს. ხოლო რაკილა მინისტრმა დამნაშავეთა სიიდან ამთავითვე ამორიცხა თვისტომი ჟუსტინ ენენ-არდენი, გამოვიდა, რომ დოპინგი ან კუზნეცოვას, ან ელენა დემენტიევასა და ანაც ფრანგი ნატალია დეშის უნდა მიეღოთ.

რასაკვირველია, ბრალდება სამივე მეჩოგნემ იუარა, თუმცა [illegible] მიგრძნობს, ამ ამბავთან მიბრუნება ჩვენ მთელი ამ ავსტრალიობის განმავლობაში მოგვიწევს.

არარუსთა გარდა კი გამოყოფას იმსახურებენ ფრანგი თანამემამულენი — ამელი მორესმო, ვინაც ადგილობრივ ჯილათაგან სამანთა სტოზერს 68 წუთში და უპრობლემოდ გაუსწორდა და მარი პირსი, ვისაც ასევე იოლად აჯობა თვისტომმა სტეფანი კოენ-ალორომ. მორესმო მარცხენა ბარძაყგადახვეული თამაშობდა, მაგრამ ტრავმისა არაფერი დაუტყვია და მხოლოდ მისთვის ჩვეული სიმძლავრითა და სიბასრით იპაექრა. 1999 წლის ფინალში მარტინა ჰინგისისგან ძლეული ფრანგი მეორე წრეში მარატ საფინის უმცროს და დინარას შეხვდება. პირსზე კი მეტი რაღა უნდა გითხრათ — მისი საუკეთესო წლები უკვე დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა და მისი პირველ წრეში წაფორხილება აღარავის უნდა უკვირდეს.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS მელბურნიდან

მარია შარაპოვა



ბეგი დარჩია



ზაზა თურმანიძე

# ჭიდაობა თავიდან დაუვლის

## ნაკრებებს შიდა ჩემპიონატი დააკომპლექტებს

2005 **წლის** სამუშაო პროგრამის ზარ-ზეიმიანი პრეზენტაციის შემდეგ მოჭიდავეები დარბაზს მიუბრუნდნენ და უკვე გეგმის მიხედვით მუშაობასაც შეუდგნენ. მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონ ბერძენ-რომაელებსა და თავისუფლებს წინ ტურნირებით დატვირთული სეზონი აქვთ. მთავარი ამოცანა კი, ცხადია, ამ ტიტულების შენარჩუნებაა.

ბეგი დარჩიასა და ზაზა თურმანიძის ნაკრებები პირველად 5-8 თებერვლიდან ბაკურიანში შეიკრიბებიან და მარტში ანკარაში გასამართი საერთაშორისო ტურნირებისთვის მოემზადებიან. თურქეთმოვლილები საევროჩემპიონატო შეკრებას ბორჯომში გამართავენ.

„მთელი სეზონის კალენდარზე მუშაობა თითქმის დასრულებულია, მაგრამ ორი-სამი დღეც გვაცალეთ, უფრო ნავულრმავლებით, იქნებ კიდევ რამე შევცვალოთ" — გვითხრა გუშინ ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა.

ჩვენც წვრილ-წვრილ საერთაშორისო ტურნირებზე საუბრისას მხოლოდ ანკარა ვახსენეთ. წლის პირველი სერიოზული საერთაშორისო ტურნირი კი 12-17 აპრილს ვარნაში გასამართი ევროპის ჩემპიონატია. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ექვს დღეში ბულგარეთში ბერძნულ-რომაულის ჩემპიონ-პრიზიორებიც გამოვლინდება და თავისუფალისაც. ორივე სახეობა გაერთიანდება მსოფლიოს ჩემპიონატზე 26 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე ბუდაპეშტში.

მოსამზადებელი ციკლისა და შემადგენლობების დასაზუსტებლად ნაკრებების თავკაცებსაც მივმართეთ და ერთმანეთის ტყუპისცალი პასუხები მივიღეთ. შეკრებებზე ჯერ არც დარჩია ფიქრობს და არც თურმანიძე, ხოლო გუნდის დასაკომპლექტებლად ორივე საქართველოს ჩემპიონატს ელის. აქამდა, ახალი ოლიმპიური ციკლი იწყება, წესებიც მთლიანად შეიცვალა და ეროვნულ გუნდშიც ის მოჭიდავეები მოხვდებიან, რომლებიც სახლეებს ყველაზე უკეთ აუღებენ ალღოს.

ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელებს თებერვლის დასაწყისისთვის დაგეგმილი შიდა ჩემპიონატი გამოავლენს. 1-2 თებერვალს დილმის საჭიდაო დარბაზის ხალიჩაზე ბერძენრომაელები გავლენ, ხოლო 3-4-ში თავისუფლები. უკვე დაზუსტებით შეიძლება იმის თქმაც, რომ ნაკრებში ადგილის შესანარჩუნებლად ყველა სახელიანი მოჭიდავე იბრძოლებს.

მთავარ მწვრთნელებს საჭიდაო წესების განახლებაზეც ვკითხეთ. აქ კი უკვე ორი აბსოლუტურად განსხვავებული პასუხი მივიღეთ.

ბეგი დარჩია: „ახალი წესების ამოქმედება სანახაობრივ მხარეს აუცილებლად სასიკეთოდ დაეტყობა. ჩოქბჯენის გაუქმება ჭიდაობას სილამაზეს შემატებს. მერე რა, რომ ერთი ქულით დაწინაურებული მოჭიდავე უკვე უპირატესობის შენარჩუნებაზე ფიქრს დაიწყებს. სამაგიეროდ, პერიოდის დრო შემცირდა ორ წუთამდე. ჩამორჩენილი სპორტსმენი უფრო აქტიურად შეუტევს, რაც ფანდის გაკეთების ალბათობას გაზრდის. განახლებულ ჭიდაობას ტაქტიკოსის ჭიდაობას დავარქმევ".

ზაზა თურმანიძე: „ისედაც არცთუ სანახაობრივი ჭიდაობა ახალი წესების შემოღებით კიდევ უფრო ცუდი სანახავი ხდება. ჩემი აზრით, იგი სუმოს დაემსგავსება. მოჭიდავეები ერთმანეთს მიაწვებიან, რათა ხალიჩიდან გაიყვანონ. ამაზე კი უკვე ქულაა".

ფილა-ს გადაწყვეტილებით კმაყოფილთა და უკმაყოფილოთა რაოდენობა საჭიდაო სამყაროში დაახლოებით თანაბარია. ახალი წესები ჯერ სათანადოდ არც გახმაურებულა და აკი ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელმა თემურ ბენდიანიშვილმაც გვითხრა, გაურკვევლობა 14-15 იანვარს ჩატარებულ ბაქოს საერთაშორისო ტურნირზეც იგრძნობოდაო.

ამ დღეებში ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ტრადიციული ყოველწლიური მსაჯთა სემინარი გამართა. მასზე დასასწრებად ქართველი ექსტრაკლასის მსაჯი ედიშერ მაჩაიძეც ჩავიდა და სიახლეებზე დაწვრილებით მისი თბილისში დაბრუნების შემდეგ შევიტყობთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**





# B.A.R

**ბრიტიშ ამერიკენ რეისინგ (B.A.R)**
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1999 წლიდან
101 რბოლა; 189 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო შედეგი
მეორე ადგილი (2004)
აღმასრულებელი დირექტორი **ნიკ ფრაი**
ტექნიკური დირექტორი **ჯეფ უილისი**
ბოლიდი **B.A.R 007**
სიგრძე 4675 მმ, სიგანე 1800 მმ, სიმაღლე 950 მმ
ძრავა **„ჰონდა RA005E"**
საბურავები **„მიშლენ პილოტი"**



**ჯენსონ ბატონი**

**დიდი ბრიტანეთი**

დაიბადა 1980 წლის 19 იანვარს
ფრომში
ცხოვრობს მონტე კარლოსა და ბისტერში
უცოლო
სიმაღლე 182 სმ; წონა 74 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (2000)
84 რბოლა; 130 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი
მესამე ადგილი (2004)
გუნდები: „უილიამსი" (2000),
„ბენეტონი" (2001), „რენო" (2002)
B.A.R-შია 2003 წლიდან



**ტაკუმა სატო**

**იაპონია**

დაიბადა 1977 წლის 28 იანვარს
ტოკიოში
ცხოვრობს მარლოუში
(დიდი ბრიტანეთი)
უცოლო
სიმაღლე 163 სმ; წონა 60 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (2002)
36 რბოლა; 39 ქულა
2004 წელს დაიკავა
მერვე ადგილი (34 ქულა)
2002 წელს ასპარეზობდა
„ჯორდანში"
B.A.R-შია 2004 წლიდან

# ბარ-ბატონური ამბიცია

FORMULA1 WORLD CHAMPIONSHIP

**ბარ-ჰონდა** თავის მეშვიდე სეზონს ახალი ბოსით და ძველი მძღოლებით ხვდება. აღმასრულებელი დირექტორის პოსტზე დევიდ რიჩარდსი ნიკ ფრაიმ შეცვალა, რომელიც წინა წლებში რიჩარდსის ასისტენტი იყო. ძველი შეფი არავის მოუხსნია, უბრალოდ, საჯინიბოსთან კონტრაქტი დაუმთავრდა და საკუთარ ფირმაში საქმიანობას დაუბრუნდა, ამასთან ბარ-ის აქციების მნიშვნელოვანი ნაწილის მფლობელად დარჩა.

პილოტთა ტანდემი უცვლელი კია, მაგრამ ბრიტანეთის საუკეთესო მრბოლი ჯენსონ ბატონი, ცხადია, გულგატეხილი იჯირითებს, თუმც მედიის თვალწინ სხვას ამბობს, უფროსობასთან კონფლიქტი მოგვარებულია და წარმატებისთვის ჯიგრით ვიბრძოლებო. კონფლიქტი კი ბატონის ბარ-იდან წასვლამ ააგორა. გეხსომებათ, შარშანდელი სეზონის გასრულებამდე ჯენსონმა „უილიამსში" გადასვლა მოინდომა და საქმეც თითქმის გაჩარხული ჩანდა, მაგრამ რიჩარდსის აგენტებმა კონტრაქტში ისეთი პუნქტი აღმოაჩინეს, რომლის ძალითაც ბატონი კიდევ ერთი წლით თავისთან დაიტოვეს.

ჯენსონი კი დარჩა, მაგრამ მზად იყო, 2005 წლის ჩემპიონატი გამოეტოვებინა, ოღონდ ბარ-ში არ ემუშავა. მისი მაშინდელი მდგომარეობა ხატოვნად შეაფასა ფერარელმა რუბენს ბარიკელომ — ეს იგივეა, ხვდებოდე ერთ გოგოს, სურვილით კი მეორე გინდოდესო.

ბუნებრივია, რომ შარშან საუკეთესო შედეგის, „ფერარის" შემდეგ თვით გუნდური ვიცე ჩემპიონობის მოპოვებით ბარ-ი უფრო მაღაზე მოვიდა. „ახალი მანქანით ახალ ერას ვიწყებთ, უმთავრესი მიზანი 2007 წელს მსოფლიოს ჩემპიონობაა, წლეულს კი რამდენიმე ეტაპის მოგებას ვაპირებთ. ჩვენი ახალი ბოლიდის შექმნით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით წინ და ახლა სიტყვა მძღოლებზეა" — იმედიანადაა ნიკ ფრაი.

კონსტრუქციული ცვლილება უპირველესად აეროდინამიკას და ძრავას შეეხო. ახალი რეგლამენტით მცირდება ტრასასთან მოჭიდების ძალა, მოტორმა კი ზედიზედ ორი რბოლა უნდა გაძლოს შეუცვლელად.

**გია ახალაძე**



# მსოფლიოს თასი

## ქალები

### კორტინა დამპეცო. იტალია

**სწრაფდაშვება**

1. რენატე გოეტჩლი (ავსტრია) ---------------------- 1.37,27
2. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) ------------------ 1.37,56
3. ლინდსი კილდოუი (აშშ) -------------------------- 1.37,71
4. ჰილდე გერგი (გერმანია) ------------------------- 1.37,80
5. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) ------------- 1.37,95

**საერთო ჩათვლა**

1.რენატე გოეტჩლი ------------------------------ 798 ქულა
2. იანიცა კოსტელიჩი ------------------------------------ 789
3. მიქაელა დორფმაისტერი ------------------------------ 712
4. ანია პაერსონი (შვედეთი) ----------------------------- 706
ტანია პოუტიანენი (ფინეთი) -------------------------- 706

## კაცები

### ვენგენი. შვეიცარია

**სლალომი**

1. ალოის ფოგლი (გერმანია) ---------------------- 1.35,38
2. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) ------------------ 1.35,59
3. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) ----------------------- 1.35,84
4. მანფრედ პრანგერი (ავსტრია) ------------------- 1.35,98
5. მარკუ ლარსონი (შვედეთი) --------------------- 1.36,09

**საერთო ჩათვლა**

1. ბოდე მილერი (აშშ) ------------------------------ 1048 ქულა
2. ბენიამინ რაიხი ------------------------------------------ 850
3. მიხაელ ვალჰოფერი (ავსტრია) -------------------------- 641
4. ჰერმან მაიერი (ავსტრია) ------------------------------ 630
5. დარონ რალვესი (აშშ) --------------------------------- 425



REUTERS ფოტო

იტალიელი როლანდ ფიჩნალერისთვის ვენგენის ტრასა უიღბლო გამოდგა



### ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

**ჰოლანდია. 14-30 იანვარი**

# ლიდერები სიცილიურად დაიღუპნენ



26-ე სვლაზე უნგრელის კუ ინდოელის მეფის ამალაში შეიჭრა



პეტერ ლეკო

**II ტური**

მაიკლ ადამსი (ინგლისი) — ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) 1:0
რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) — იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) 1:0
ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) — ნაიჯელ შორტი (ინგლისი) 0,5:0,5
ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) — ლაზარო ბრუზონი (კუბა) 0,5:0,5
ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0:1
ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0:1
პეტერ სვიდლერი (რუსეთი) — ივან სოკოლოვი (ჰოლანდია) 0,5:0,5

ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა ზედიზედ მეორე პარტია მოიგო და ჯგუფის ლიდერიც გახდა. ფიდეს რეიტინგსიაში მესამე ნომერმა 20 სვლაში მოუმთავრა საქმე კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონს. ბულგარელმა რუსის წინააღმდეგ სიცილიური დაცვა გამოიყენა, ფიგურები საწყის ეტაპზევე მიუნგრია, დასახული გეგმები მალევე ჩაუშალა და კაპიტულაცია გამოაცხადებინა. სპეციალისტებმა ეს პარტია ტურის სენსაციად მონათლეს და კრამნიკის კარიერაში ყველაზე უარესი უწოდეს. ვლადიმერი სიცილიურ პარტიებს იშვიათად აგებსო — დასძინეს მათ.

ასევე მოულოდნელი შედეგით დასრულდა ანანდი-ლეკოს პარტიაც. ვეიკ ან ზეეს ოთხჯერ მომგები ინდუსისგან უმეტესობა წარმატებას ელოდა, თუმც გონიერმა უნგრელმა მეტი ჭკუა გამოიჩინა და კარიერაში ერთ-ერთი დასამახსოვრებელი გამარჯვება ჩაიწერა.

ლეკომ ანანდთან დებიუტი სიცილიური დაცვით არჩია, შემდეგ კი წინ მხედრები გამოაჭენა და ცენტრის დასაპატრონებლად იწყო ბრძოლა. როგორც ყოველთვის დებიუტში აქაც ანანდი გააქტიურდა, ფიგურების ხოცვას შეუდგა და შავების ხელმწიფეს დაცვის კედელი მიუნგრია, უნგრელმა კედელი მალევე აღადგინა მე-19 სვლაზე კი ლაზიერის ფლანგზე პაიკი შესწირა მეტოქეს და ცენტრს დაეპატრონა. ამ ორთაბრძოლებში ლაზიერის ფლანგი ფაქტობრივად მოშიშვლდა და ცარიელი ტერიტორიიდან ინდუსმა იერიში წამოიწყო. თუმც უნგრელი მომზადებული დაუხვდა, ჩაფიქრებული გეგმის განხორციელების საშუალება არ მისცა და უპირატესობასაც დაეუფლა. ლეკო შეტევაზე გადავიდა, 26-ე სვლაზე მან კუით დაცვა მოუშალა თეთრ მეფეს. შემოჭრილი მტრის მოსაგერიებლად ინდოელმა მთელ არმიას უხმო, თუმც უნგრელს უკვე ყველაფერი ზუსტად ჰქონდა გათვლილი, ინდუსის ჯაჭვს ბდღვნა ადინა და 57-ე სვლაზე გამარჯვებისა დააქუხა.

მოულოდნელი იყო წინა დღის გმირ იუდით პოლგარის მარცხიც ფიდეს ექსჩემპიონ რუსლან პონომარიოვთან. სუპერტურნირის ერთადერთმა მანდილოსანმა სხვა ფავორიტ-დამარცხებულების მსგავსად სიცილიური პარტია წააგო.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 2 ქულა |
| 2 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 1,5 |
| 3 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 1,5 |
| 4 | ნაიჯელ შორტი (ინგლისი) | 1,0 |
| 5 | ივან სოკოლოვი (ჰოლანდია) | 1,0 |
| 6 | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 1,0 |
| 7 | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 1,0 |



# კოკაიმ მეოცნეზე ოძეკი დაჩაგრა

**ლევან ცაგურიასთვის**

სეზონის პირველი ბაშო წარუმატებლად დაიწყო და ასევე გრძელდება. ცხრა ტურის შემდეგ კოკაის ანგარიშზე მხოლოდ სამი მოგებაა და ტურნირის დადებითი ბალანსით დასასრულებლად მძიმე ბრძოლების გადატანა მოუწევს.

მესამე ქულა ჩვენებურმა გუშინ მოიპოვა, გაიოკოძუნებაზე მეოცნებე 32 წლის ოძეკი კაიოს ძლევით და ბაშოს პერიპეტიების ალმწერ ვებ-გვერდზე ქებაც დაიმსახურა.

იმპერატორის თასი პატრონს 23 იანვარს ჩაბარდება, თუმც საქმე ისე მიდის, ჩემპიონი ბოლო ტურებამდე გაირკვევა. აქამდე ცხრა თასის ამწევი იოკოძუნა ასასიორუ სანუკვარი ტიტულისკენ ისე მიიწევს, მცირე წინააღმდეგობასაც კი არვის აწევინებს. „ცისფერი დრაკონი“ ასპროცენტიანი მაჩვენებლით ლიდერობს და უახლოეს მდევრებს, სეკივაკე ტოჩიაძუმასა და კომუსუბი ხაკუხოს ორი ნაბიჯით უსწრებს.

**ოთარ გაღლაძელიძე**



რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ფერარი პაპთან

მადონა დი კომპილიოში დასვენებული „ფერარის“ გუნდი ვატიკანს ეწვია. ჟან ტოდტი (მარცხნიდან) რუბენს ბარიკელო, ლუკა ბადოერი, მიხაელ შუმახერი და პიერო ლარდი რომის პაპს იოანე პავლე II-ს წარუდგნენ და „ფერარის“ მოდელი უჩვენეს. კლემენტინას დარბაზში პაპმა ფერარელები დალოცა.





REUTERS ვატიკანიდან

# კვლავ მზე

სიდნეის საერთაშორისო ტურნირის მთავარი ნიშანი წლეულს მზეა. ჩოგბურთის ცქერა და შერუჯვა ერთად გამოდის. ცურვის ხელმწიფე იან ტორპიც მშვენივრად ეფიცხება მზეს. მისი თანმხლები გოგოს ვინაობა კი ჯერაც ვერ დადგინდა.



REUTERS სიდნეიდან

# ჩეხთა სიხარული

ჩეხთა პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი ჩემპიონს კოცნის: ნოვე მესტოში მიმდინარე თხილამურობის სამსოფლიოთასო ეტაპზე ჩეხმა კატერინა ნიუმანოვამ 10 კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა მოიგო. მეორეზე ნორვეგიელი მარიტ ბიურგენი გავიდა, მესამეზე რუსი იულია ჩეპალოვა.



REUTERS ნოვე მესტოდან

# ოჰ... ვიცეკვეთ



REUTERS პორტლენდიდან

პორტლენდში გრძელდება ამერიკის ჩემპიონატი ფიგურსრიალში. გრაციასა და მოხდენილობას ნამდვილად ვერ დაუწუნებ ტანიტ ბელბინისა და ბენ ოგოსტოს წყვილს. ეს ცეკვის თავისუფალი პროგრამაა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლალი ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კილაურაძე, თოარ მალლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ლილუნაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ლეკლიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზეინაბ მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge